# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 სექტემბერი 2001 №181 (1454) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გმადლობთ, მშვიდობით!




## დღეს საქართველო დავით ყიფიანს გამოეთხოვება



ყიფიანი ქართული გენის განსახიერება იყო...

ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ყიფიანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში ითვლებოდა...

ყიფიანი გვთხოვდა, რომ მისთვის, რამაზ შენგელიასთვის, ვიტალი დარასელიასა და ალექსანდრე ჩივაძისთვის არასოდეს გვეწოდებინა სხვა სახელი, გარდა ქართველისა...

*„ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნი“*

იხილეთ მესამე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაწილი მეორე

## მამუკა წერეთელი პიკს უმიზნებს

კარგა ხანს იყო მამუკა წერეთელი უგუნდოდ, თითქმის წელიწადნახევარი. ვლადიკავკაზის „ალანია" ვლადიმერ გუცაევმა რომ დატოვა, წერეთელიც მას მიჰყვა და... ფათერაკებიც შეემთხვა. ჯერ „ალანია" ემუქრებოდა, აქაოდა, უეფაში გიჩივლებთ, უკითხავად რომ გაგვეცალე და დისკვალიფიკაცია არ აგცდებაო, მერე იყო და მუხლის ისეთი ტრავმა მიიღო, არავინ იცოდა, თამაშს კიდევ თუ შეძლებდა. თუმც მისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მამუკა წერეთელმა ვარჯიში განაახლა, „ალანიასთანაც" თითქმის მოაგვარა პრობლემები და თამაშის გაგრძელება თბილისის „დინამოში" რომ დააპირა, სწორედ მაშინ შეეხმიანნენ რუსეთიდან. ჯერ ავსტრიული „შტურმში" თამაში შესთავაზეს, მამუკაც დაყაბულდა გრაცში გადაბარგებულიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა ამ საქმიდან. მერე წერეთელმა ბელგიას მიაშურა, მას ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერი „ბრიუგე" ინვევდა, ოღონდ გასასინჯად, ჩვენებურმა კი, ამისთვის არ მცალიაო, იქვე, ლიერსში გაემგზავრა და გელა შეყილაძის „ლიერსთან" ნახევარსაათიანი საწვრთნელი მატჩის შემდეგ კონტრაქტიც გააფორმა. მოასწრო კიდეც ბელგიის ჩემპიონატში ორი მატჩის ჩატარება, თუმც ორჯერვე შეცვლაზე 10-15 წუთი ითამაშა.



მამუკა წერეთელი კარიერას „ლიერსში" აგრძელებს

— ახალ გუნდთან შეგუება არ გამჭირვებია — გვითხრა მამუკა წერეთელმა, რომელსაც ლიერსში შევეხმიანეთ — მართალია, უცხო გარემოში მოვხვდი, მაგრამ გელა შეყილაძის დახმარებით აქაურებთან ურთიერთობა გამიიოლდა. ნორმალური ხალხია, პრობლემა დღესდღეობით არ მაქვს და, რაც მთავარია, ფეხბურთის თამაშს ვაგრძელებ.

**— აგრძელებ, მაგრამ, როგორც ჩანს, „ლიერსის" ძირითად შემადგენლობაში გიჭირს ადგილის დამკვიდრება.**

— ამდენი ხნის უთამაშებელს, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გამიჭირდება. კი, შესაძლო იყო, ზედიზედ ორი-სამი მატჩი თავიდან ბოლომდე მეთამაშა, მაგრამ მერე უეჭველად ჩავარდნა მექნებოდა და გუნდის მწვრთნელებს ჩემზე წარმოდგენა წაუხდებოდათ. ესეც რომ არა, „ლიერსი" ბოლო მატჩებს სტაბილური შემადგენლობით ატარებს, აგერ, ბოლო ტურში „ანდერლეხტიც" კი დავამარცხეთ და ასეთ დროს ძნელია, ლეგიონერმა ძირითადი შემადგენლობიდან რომელიმე ფეხბურთელი ამოაგდო.

**— და მაინც, სასურველ ფორმას როდის აღიდგენ, როდის გიხილავთ ძირითად შემადგენლობაში?**

— საამისოდ მე ყველაფერს ვაკეთებ. მონდომებული ვარ და ვფიქრობ, მწვრთნელებიც კმაყოფილები არიან. „ლიერსის" მეორე გუნდში რეგულარულად ვთამაშობ და თავს ვატყობ, ნელ-ნელა ვუმატებ. სასურველი ფორმის აღსადგენად კი, ალბათ, თვე-თვენახევარი დამჭირდება. თუმც ბედიც რომ არ მაქვს? ყველაფერი კარგად რომ მიდიოდა, სწორედ მაშინ. ეტყობა, კუნთმა დატვირთვას ვერ გაუძლო და დამეჭიმა. ორი დღე არ მივარჯიშია და ორშაბათამდე კიდევ უნდა დავისვენო.

**— „ლიერსში" ორი მატჩი ითამაშე, ამპლუა ხომ არ შეგიცვლია?**

— ორჯერვე საყრდენ ნახევარმცველად მათამაშეს.

**— გელა შეყილაძე დაცვის მარცხენა ფლანგზე რატომ გადაწიეს?**

— გელას შარშანდელ სეზონში მიღებული წითელი ბარათის გამო მოუხდა პირველი ტურის გამოტოვება. მერე ვარჯიშზე, მეკარეს შეასკდა და ნეკნი გაუტყდა, ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა. უფრო სწორად, ვიდრე გელა გამოჯანმრთელდა, დაცვის ხაზი დაკომპლექტდა და, ხომ იცით, მწვრთნელი მოგებულ შემადგენლობას არ ცვლის-ხოლმე. გელასაც ლოდინმა მოუწია. ათი დღის წინ „ლუვიესთან" მატჩამდე მარცხენა მცველმა ფეხი იტკინა, მწვრთნელმა მის ადგილას შეყილაძე დააყენა, მანაც უშეცდომოდ ითამაშა და გუნდის თავკაციც კმაყოფილი დარჩა. აღარ მგონია, ამის შემდეგ გელამ ძირითადში ადგილი დაკარგოს, მით უმეტეს, რომ შეყილაძე „ანდერლეხტთან" მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მოკლედ, „ლიერსში" დიდი კონკურენციაა და ფეხის ერთი გადაბრუნება შესაძლოა ძვირად დაგიჯდეს.

**— სიტყვამ მოიტანა და „ანდერლეხტის" დამარცხება დიდი საქმეა...**

— რაღაც მგონია, რომ „ანდერლეხტის" ფეხბურთელები ჩვენთან სათამაშოდ გაბლენძილები გამოვიდნენ. თითქოს სირბილი ეზარებოდათ, ალბათ, ეგონათ, კლასის ხარჯზე დაგვამარცხებდნენ. საბოლოოდ კი რასაც გამორჩნენ, ანგარიშიდანაც ჩანს. ისე, „ანდერლეხტს" წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩი ელოდა „რომასთან" და იქნებ ძალაც დაზოგა.

**— „ლიერსში" როგორ აღმოჩნდი? თითქმის გადაწყვეტილი არ იყო, თბილისის „დინამოში" რომ ითამაშებდი?**

— კი, ასე იყო. რამდენჯერმე ვივარჯიშე კიდეც „დინამოსთან" ერთად, მაგრამ მოულოდნელად რუსეთიდან შემეხმიანნენ და უცხოეთში თამაში შემომთავაზეს. საბოლოოდ „ლიერსთან" გავაფორმე კონტრაქტი.

**— რამდენწლიანია?**

— ამ სეზონის ბოლომდე. ჩემთვის მთავარი იყო, „ალანიადან" გავთავისუფლებულიყავი და რომელიმე გუნდში მოვხვედრილიყავი, სათამაშო ფორმა აღმედგინა. ახლა კი იმედი მაქვს, ყველაფერი ჩემთვის სასიკეთოდ გაგრძელდება და „ლიერსზე" ძლიერ და სახელოვან კლუბში თამაშს გავაგრძელებ, მით უმეტეს, რომ ამ გუნდთან ჩემი კონტრაქტის პირობები არცთუ ისე სახარბიელოა.



მამუკა წერეთელი

**— ავსტრიულ „შტურმშიც" ვარჯიშობდი. იქ რატომ არ დარჩი?**

— საქმე თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „შტურმა" და „ალანიამ" ფულზე ვერ მოილაპარაკეს და მეც ბელგიაში აღმოვჩნდი.

**— ეროვნულ გუნდზეც უნდა გკითხო. არც შენ, არც გელა შეყილაძეს, დიდი ხანია, ნაკრებში არ გითამაშიათ...**

— ეგ ბუნებრივიც არის, უთამაშებელი ფეხბურთელი ნაკრებში აბა, ვის უნდა? ყოველ შემთხვევაში, ახლა, დარწმუნებული ვარ, რომ თუ კარგ ფორმაში ვიქნები, ეროვნულ გუნდში აუცილებლად მიმიწვევენ. ჩივაძე ისეთი პიროვნებაა, ისეთი მწვრთნელია, ნაკრებში დაუმსახურებლად არავის მიიწვევს. მეც ვეცდები, თავი გამოვიჩინო და ეროვნული მაისურა დავიბრუნო. ვნახოთ, ახლა ჩემი კარიერის მეორე ნაწილი იწყება. ასაკიც ისეთი მაქვს, ცოტა ხანში შესაძლებლობების პიკს უნდა მივაღწიო.

**კობა ინასარიძე**

# გომელაურს სომხეთი ინგლისში დააკლდება

## ნაკრები კლუბებში ჩაკეტეს

**საქართველოს** ცხრამეტწლამდელთა ნაკრები სომხეთში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გამგზავრებას რომ აპირებდა, ადრე გაუწყეთ. გელა გომელაურის შეგირდებს სფფ-მ ერთკვირიანი ტურნე გაუხერხა. ნაკრების თავკაციც საქმეს შეუდგა და კანდიდატების მზადყოფნის შემოწმება დაიწყო. ამასობაში ქართველი ცხრამეტწლამდელების სომხეთში წასვლის დროც მოახლოვდა, თუმც ქართულმა კლუბებმა ფეხბურთელების ნაკრებში გაშვებაზე უარი განაცხადეს და გომელაურს რამდენიმე დღით მოცდა სთხოვეს, აქაოდა, საკმაოდ რთული თამაშები გველისო. გომელაურმაც ტურნეზე წასვლის თარიღი ორი დღით გადადო. პრეტენზიულმა კლუბებმა გომელაურს კვერი დაუკრეს, მაგ დროისთვის ფეხბურთელები შენს განკარგულებაში იქნებიანო.

კლუბებთან ურთიერთობის მოგვარებაში დარწმუნებულმა ნაკრების თავკაცმა გუნდის დაკომპლექტებაც მოასწრო და მატარებლის ბილეთებიც შეუკვეთა, რა იცოდა, თუ მათ კლუბებს ისევ „სერიოზული" თამაშები ელოდათ. თბილისის „ოლიმპიკმა" და თბილისის „დინამო 3"-მა გომელაურს ისევ წაუყენეს ულტიმატუმი — თასის თამაშები გვაქვს და ფეხბურთელები ჩვენ გვჭირდებაო. მათ მხარი თსუ-მაც აუბა — თუ სხვა კლუბები არ უშვებენ მოთამაშეებს, არც ჩვენ ვართ ნაკლებიო. აქვე გეტყვით, რომ მარტო „ოლიმპიკსა" და „დინამო 3"-ში ნაკრების ხუთი კანდიდატი ირიცხება.

ამგვარად, საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების სომხეთში გამგზავრება ჩაიშალა. ერთმანეთის ჯიბრითა და ქიშპით კი ისევ ქართული ფეხბურთი ზარალდება.

— ნაკრებში ჩემი მუშაობა ფაქტობრივად აუტანელი ხდება. ჯერაც ვერ გამიგია, ასეთი რა თამაშები ჰქონდათ რეგიონალური ლიგის კლუბებს, რომ ნაკრებში ფეხბურთელების გამოშვება იუარეს და ტურნე ჩამიშალეს. დიდი შანსია, რომ ეს კონკრეტულად ჩემს მიმართ წარმოებული მიზანმიმართული კამპანია იყოს. არადა, ეს ამხანაგური მატჩები საინგლისოდ ძალიან წაგვადგებოდა. ახლა კი მეტად რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებამდეც ფაქტობრივად აღარაფერი დარჩა — შემოგვჩივლა გელა გომელაურმა.

ნაკრების თავკაცმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ დავით ყიფიანის გარდაცვალების გამო ჯერჯერობით შესაფერისი დრო არ არის, მოგვიანებით კი სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას შეხვდება და თავის მდგომარეობას გააცნობს.

— თუ მერაბ ჟორდანიასთან საუბარში საიმედოს ვერაფერს შევამჩნევ, მზად ვარ, განცხადება დავწერო და გადავდგე — გვითხრა ბოლოს გელა გომელაურმა.

**ბახა ზალამბერიძე**




ლევან ქებაძე

# ოთხი ქართველი კუნძულზე

**წინა** უქმეებზე კვიპროსის ჩემპიონატი დაიწყო და აბა, უქართველებოდ ეგ საქმე როგორ ჩაივლიდა. იქაურ უმაღლესთა ლიგაში ამჟამად ოთხი ჩვენებური თამაშობს. ამათგან მხოლოდ ერთმა იმარჯვა, სამმა კი წააგო.

ზესტაფონის „მარგვეთის", თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ყოფილმა ფორვარდმა ლევან ქებაძემ წინა სეზონის მიწურულს საბერძნეთიდან გუდა-ნაბადი აიკრა და იქვე მეზობლად, კვიპროსში გადაბარგდა. ჭაბუკიანელი თავდამსხმელი „პარალიმნიმ" აიყვანა და არც წაუგია რამე. „პარალიმნიმ" პირველ ტურში სწორედ ქებაძის გოლით მოუგო მეორე ჩვენებურის, ლევან მაღრაძის „პაფოსს". ლევანი ქართველ ქომაგებს ზესტაფონის „მარგვეთში" ბურთაობით ეხსომებათ.

ვიტჯორჯიელი გიორგი ქორიძე, რომელსაც თბილისურ თსუ-სა და „ლოკომოტივში", ასევე ბოლნისურ „სიონშიც" უთამაშია, ყოფილ მრეტთან, „არსენალსა" და „სიონში" ნამყოფ გურამ ასპინძელაშვილთან შეამხანაგებულა და კვიპროსში გამგზავრებულები იქაურ „არადიპუში" ჩარიცხულან. „არადიპუ" პირველ ტურში გვარიანად შერცხვა. „ანორთოსისისგან" 8 გოლი გაუშვა, თავად კი მხოლოდ ერთის გატანა შეძლო. თამაშის მიწურულს გიორგი ქორიძეს პენალტი გაუტანია. ორივე ჩვენებური 90 წუთი მოედანზე ყოფილა, მაგრამ...

დღეს, ალბათ, მხოლოდ ფედერაციაში თუ იციან, რამდენი ქართველი ლეგიონერი თამაშობს საზღვარგარეთ. 100, 200, 300... პრობლემა ლეგიონერთა სიმრავლე კი არ გახლავთ, საწუხარი ისაა, რომ ქართველები, ოღონდ აქაურობას თავი დააღწიონ და ყველგან მიდიან.

**მამუკა ძვანტალიანი**

# გმადლობთ, მშვიდობით!

## დღეს საქართველო გამოეთხოვება 70-80-იანი წლების ქართული ფეხბურთის სახეს

INTERNATIONAL Herald Tribune

*რობ ჰიუ, „ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნი", 19 სექტემბერი*

## ფეხბურთის ვარსკვლავი დაიღუპა

ყოველ ჩვენგანს განსაკუთრებული სიბრალული ეუფლება, როდესაც გამოჩენილი ფეხბურთელის დაღუპვის ამბავს შეიტყობს.

ორშაბათს ავტოკატასტროფაში დავით ყიფიანი დაიღუპა, ხელიდან გამოგვეცალა ის ადამიანი, რომელიც თანამედროვე მოთამაშეთაგან ზინედინ ზიდანს შეიძლება შევადაროთ.

ისეთი ადამიანის დაკარგვა, როგორიც დავით ყიფიანი იყო, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ჭეშმარიტებას, რომ თვით ცხოვრებაა თამაში — დავით ყიფიანმა ითამაშა და იცხოვრა სრულიად განსაკუთრებულად.

იგი იყო ახოვანი, თითქოს მოუხეშავი, მელოტი, შავულვაშა, მაგრამ ისეთი არტისტიზმით თამაშობდა, ცოტა თუ შეედრებოდა. როცა ამის საშუალება ეძლეოდა, თავის შესაძლებლობებს საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც ამჟღავნებდა. 70-იან წლებში მან პროფესიონალიზმის მწვერვალს მიაღწია.

ყიფიანის ყურება, მასთან შეხვედრა დიდი სიამოვნება იყო. მე ვნახე მისი ოსტატური თამაში იმ პერიოდის ბრიტანეთის უძლიერეს გუნდებთან „ლივერპულთან" და „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" ევროთასებზე და უელსთან მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო მატჩში.



ჩვენ, ჟურნალისტები დიდ შეცდომას ვუშვებდით, როდესაც ყიფიანს და მის თანამემამულეებს საბჭოთა ადამიანებს ვუწოდებდით. საპასუხოდ ყიფიანს წყენა ღიმილით გადაჰქონდა და გვთხოვდა, რომ მისთვის, სხარტ თავდამსხმელ რამაზ შენგელიასთვის, დინამიურ ნახევარმცველ ვიტალი დარასელიასთვის და განონასწორებულ მცველ ალექსანდრე ჩივაძისთვის არასოდეს გვეწოდებინა სხვა სახელი, გარდა ქართველისა. მათ კლუბს, თბილისის „დინამოს" თითქოს ერთგვარად საიდუმლო პოლიტიკა ჰქონდა, ფეხბურთელები კი თავისუფალი აგენტები იყვნენ. მათი ლათინური ილეთი რუსული სისტემის სიმკაცრეს სჯობნიდა.

ყიფიანი ქართული გენის განსახიერება იყო. მე ახლაც მახსოვს მისი 60 იარდის სიგრძის უზუსტესი პასი შენგელიასკენ, რომელსაც ბურთის დასაჭერად განძრევაც კი არ დასჭირვებია.

ყიფიანის ტრიუმფი 1982 წელს დასრულდა, მაშინ, როდესაც მან ერთ-ერთი საჩვენებელი თამაშის დროს ფეხის ძვალი მოიტეხა — ეს ბედის ირონია იყო. ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ყიფიანი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში ითვლებოდა.

იგი დასვლეთში რომ დაბადებულიყო, მილიონერი იქნებოდა. რუსი რომ ყოფილიყო, ვერ გაუძლებდა უამრავი შეთავაზების ცდუნებას. მაგრამ იგი სულით ხორცამდე ქართველი იყო და კარგად ესმოდა, რომ თამაშის ის თავისუფალი სტილი, რომელსაც იგი ფლობდა, ურიცხვი ქართველისთვის, მათთვის, ვინც მას ეთაყვანებოდა, ძალზე ბევრს ნიშნავდა.

იგი ეჭვობდა, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი მისი საერთაშორისო კარიერის დასრულებისა და არა მისი ტრავმა. როცა მან თამაში განაახლა, სსრკ-ის ნაკრების მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა საყვედურისთვის საბაბად ეს ტრავმა გამოიყენა. ამაყმა ფეხბურთელმა მაშინვე საერთოდ შეწყვიტა თამაში, მაგრამ შემდგომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაბრუნდა. თუმცა, რამდენიმე ხნის წინ, ნაკრების არაერთი დამარცხების გამო, იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

დავით ყიფიანი 50 წლის ასაკში დაიღუპა წეროვანის მახლობლად, საქართველოს დედაქალაქიდან 18 მილით დასავლეთით. ასევე ავტოკატასტროფაში დაიღუპა ადრე ვიტალი დარასელიაც.

(იბეჭდება შემოკლებით)



გუშინ დავით ყიფიანი უკანასკნელად მივიდა „ეროვნულზე"...
გუშინ ხალხმა უკანასკნელად დაუკრა ტაში საყვარელ ფეხბურთელს...




## ტრაგიკული ოვაცია

სტადიონზე ბურთთან
რაინდული დავით,
აოცებდით ყველას –
ბასა, შოთა, დავით.

სამივ ათი ნომრით,
ბურთის სამი დენდი,
ერთნაირი ხვედრის,
ერთნაირი ბედის.

სინანულის, სევდის
ჩამოცრემლილდა სტროფი;
სამთავე ხართ მსხვერპლი
ავტოკატასტროფის.

თუმც დრო დავიწყების
მძიმე ბურუსს გაშლის,
თქვენს სახელებს, მჯერა,
ვერაფერი წაშლის.

ნუთუ ათიანი
დაგვებედა თარსად:
ბასა, შოთა, დავით,
დავით, შოთა, ბასა.

თქვენ მატებდით ფეხბურთს
შნოს, ლაზათს და ელფერს.

გულშემატკივართა
უსაყვარლეს კერპებს,
ახლა მშვიდად გძინავთ,
დაცხრა გრიგალ-ქარი,

სტადიონი გრგვინავს,
ოღონდ... გლოვის ზარით.

**ტარიელ ხავთასი**

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია და რეგიონში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის ფედერაციები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის

**დავით ყიფიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ქართულ ფეხბურთს.

გელა ინალიშვილი, კარლო ხორავა, ბორის ბარამია, გურამ შელია, ჯემალ გოგია, ემილ გალდავა, იური მილორავა, გულად გვაჯავა, პაატა ესართია, ლევან ლემონჯავა, სერგო კვარაცხელია

ბოლნისის საფეხბურთო კლუბი „სიონი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**დავით ყიფიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

# უეფას თასი. პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

UEFA CUP

**ბატე** (ბელარუსი) 0:2 **მილანი** (იტალია)
0:1 შევჩენკო (65), 0:2 ხავი მორენო (88)
მილანი: აბიატი, კონტრა (გატუზო 73), როკე ჟუნიორი, ლაურსენი, მალდინი, ბროკი (სარი 83), ალბერტინი, დონატი (პირლო 46), სერჟინიო, შევჩენკო, ხავი მორენო
კახა კალაძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ანტონიო დი ჯენარო (თანაშემწე)
15 000 მაყურებელი

**ცსკა** (უკრაინა) 3:2 **ცრვენა ზვეზდა** (იუგოსლავია)
0:1 პიანოვიჩი (35), 1:1 ტკაჩენკო (45), 2:1 კოსტიშინი (49), 3:1 ზაკარლიუკა (66), 3:2 აჩიმოვიჩი (67პ)
ცსკა: კერნოზენკო, მალცევი, ანენკოვი, კირლიკი, ბილოზორი, მიძაძე, ზაკარლიუკა, კოსტიშინი, ვოლოსიანკო, ტკაჩენკო (პოლიარუში 69), ბალიცკი
მწვრთნელი: ვლადიმირ ბესონოვი
2 500 მაყურებელი

**ბორდო** (საფრანგეთი) 5:1 **დებრეცენი** (უნგრეთი)
1:0 პაულეტა (13), 1:1 ტიბერი (38), 2:1 კრისტიანი (43), 3:1, 4:1 დუგარი (52, 54), 5:1 პაულეტა (77)
დებრეცენი: ბალოგი, ბერნატი, კუტორი, პლოკაი, სატმარი, ბოორი, ჩხეტიანი, ვადიჩკა (პანაკი 56), ბაიზატი (კერეკეში 46), მაიოროში, ტიბერი (ნენადიჩი 67)
გაძევება: ჩხეტიანი (47)
მწვრთნელი: იანოშ პაიკუში
27 000 მაყურებელი

**ჩელსი** (ინგლისი) 3:0 **ლევსკი** (ბულგარეთი)
1:0, 2:0 გუდიონსენი (45, 73), 3:0 ლამპარდი (90)
ჩელსი: დე გეი, ლე სო, მელხიოტი, ტერი, გალასი, ლამპარდი, იოკანოვიჩი, ზენდენი, პეტი (მორისი 30), გუდიონსენი, ძოლა
რატი ალექსიძე სათარიგო იყო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
20 812 მაყურებელი

**იფსვიჩი** (ინგლისი) 1:1 **ტორპედო** (რუსეთი)
0:1 ვიაზმიკინი (14), 1:1 ბრემბლი (85)
ტორპედო: ბერეზოვსკი, დაევი, მალაი, იოლოვიჩი, ლუხვიჩი, სამხაია, ჩუგა, კორმილცევი, ზურიანოვი, ვიაზმიკინი (კამოლცევი 89), შირკო (სემშოვი 82)
მწვრთნელი: ვიტალი შევჩენკო
21 201 მაყურებელი

**პუხოვი** (სლოვაკეთი) 0:0 **ფრაიბურგი** (გერმანია)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კელი, ვილი (კობიაშვილი 46), ა. ცაიერი, ცხიტიშვილი, კულიბალი, ტანკო, სელიმი (ვ. ბუტი 79), სელიმი, იაშვილი (რამდანე 73)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
7 000 მაყურებელი

**ლეგია** (პოლონეთი) 4:1 **ელფსბორგი** (შვედეთი)
1:0 კარვანი (23), 1:1 კლასტრიომი (42), 2:1 ვუკოვიჩი (58), 3:1, 4:1 კუხარსკი (71, 81)

**დინამო** (რუმინეთი) 1:3 **გრასჰოპერი** (შვეიცარია)
0:1 შაპუიზა (28), 0:2 მვარუვარი (82), 1:2 მიჰალჩია (83პ), 1:3 ნუნიესი (87)

**პრშიბრამი** (ჩეხეთი) 4:0 **სედანი** (საფრანგეთი)
1:0, 2:0 კულიჩი (18, 60), 3:0 ოტეპკა (68), 4:0 კულიჩი (70)

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 2:0 **სლოვანი** (სლოვაკეთი)
1:0 ბაფური (8), 2:0 ნეჟმარი (90)

**დინამო** (რუსეთი) 1:0 **ბირკირკარა** (მალტა)
1:0 ხაზოვი (22)

**პოლონია** (პოლონეთი) 1:2 **ტვენტე** (ჰოლანდია)
0:1 კოლმენი (60), 1:1 ა. ბაკი (76), 1:2 ვან დერ ლაანი (85)

**დინამო** (ხორვატია) 2:2 **მაკაბი** (თელ ავივი, ისრაელი)
0:1 გოლდბერგი (23), 0:2 დაგო (41), 1:2 ბჟიჩი (55), 2:2 სედლოსკი (73)

**გენჩლერბირლიგი** (თურქეთი) 1:1 **ჰალმსტადი** (შვედეთი)
0:1 სელაკოვიჩი (8), 1:1 გულდურენი (48)

**პარტიზანი** (იუგოსლავია) 1:0 **რაპიდი** (ავსტრია)
1:0 ბაიჩი (90)

**ჰაკა** (ფინეთი) 1:1 **უნიონი** (გერმანია)
1:0 ვაისანენი (13), 1:1 რისტიჩი (70)

**ცსკა** (ბულგარეთი) 3:0 **შახტარი** (უკრაინა)
1:0 მანჩევი (24), 2:0 პენეი (40), 3:0 მანჩევი (79)

**პარმა** (იტალია) 1:0 **ჰიკ** (ფინეთი)
1:0 მილოშევიჩი (21პ)

**ინტერი** (სლოვაკეთი) 1:0 **ლიტექსი** (ბულგარეთი)
1:0 კრატოხვილი (54პ)

**მიდტიულანდი** (დანია) 0:3 **სპორტინგი** (პორტუგალია)
0:1 ბები (49), 0:2 ბეტუ სევერუ (61), 0:3 კარდელი (90)

**ოლიმპიაკოსი** (კვიპროსი) 2:2 **ბრიუგე** (ბელგია)
1:0 თემისტოკლესი (5), 1:1 ვერჰეინი (33), 1:2 კლემენტი (70), 2:2 რადოსავიევი (79)

**დნიპრო** (უკრაინა) 0:0 **ფიორენტინა** (იტალია)

**ჰაპოელი** (თელ ავივი, ისრაელი) 1:0 **გაზიანთეფი** (თურქეთი)
1:0 რინძინზი (88ს.კ.)

**ოდ გრენლანდი** (ნორვეგია) 2:2 **ჰელსინგბორგი** (შვედეთი)
1:0 ფევანგი (9), 1:1 მ. ჰანსონი (23), 2:1 ვან ანკერენი (32), 2:2 ალვარუ სანტუში (56)

**სენტ გალენი** (შვეიცარია) 2:1 **სტიაუა** (რუმინეთი)
1:0 ჯეფერსონი (33), 1:1 ნიაგა (38), 2:1 მოკოენა (53)

**ოლიმპია** (სლოვენია) 2:4 **ბრონდბიუ** (დანია)
1:0 ზლოგარი (1), რ. ბაგერი (34), 1:2 დან იოჰანსენი (54პ), 2:2 ზლოგარი (61), 2:3, 2:4 ნიელსენი (72, 75პ)

**სტანდარდი** (ბელგია) 2:0 **სტრასბური** (საფრანგეთი)
1:0, 2:0 მორეირა (39, 85)

**აეკ** (საბერძნეთი) 2:0 **ჰიბერნიანი** (შოტლანდია)
1:0 ცარტასი (54პ), 2:0 ნიკოლაიდისი (66)

**სერვეტი** (შვეიცარია) 1:0 **სლავია** (ჩეხეთი)
1:0 ორუმა (75)

**უტრეხტი** (ჰოლანდია) 3:0 **გრაცერი** (ავსტრია)
1:0 ვან დენ ბერგი (21), 2:0 ტანგე (34), 3:0 გლუშჩევიჩი (50)

**ჰაიდუკი** (ხორვატია) 2:2 **ვისლა** (პოლონეთი)
1:0 დერანია (22), 1:1 ჟურავსკი (52), 2:1 სრნა (88), 2:2 მოსკალიევიჩი (90)

**კერნტენი** (ავსტრია) 0:0 **პაოკ** (საბერძნეთი)

**აიაქსი** (ჰოლანდია) 2:0 **აპოლონი** (კვიპროსი)
1:0 იბრაჰიმოვიჩი (4), 2:0 მახლასი (58)

**კილმარნოკი** (შოტლანდია) 1:1 **ვიკინგი** (ნორვეგია)
0:1 სანე (45), 1:1 დარგო (73)

**ასტონ ვილა** (ინგლისი) 2:3 **ვარტექსი** (ხორვატია)
0:1 ბიელანოვიჩი (44), 1:1 პაბლო ანხელი (54), 1:2 ვ. კარიჩი (64), 2:2 პაბლო ანხელი (70), 2:3 ბიელანოვიჩი (86)

**კოპენჰაგენი** (დანია) 2:0 **ობილიჩი** (იუგოსლავია)
1:0, 2:0 ჰ. ფერნანდესი (8, 67)

**ინტერი** (იტალია) 3:0 **ბრაშოვი** (რუმინეთი)
1:0 დალმა (23), 2:0 კალონი (31), 3:0 დი ბიაჯო (41)

**სარაგოსა** (ესპანეთი) 3:0 **სილკებორგი** (დანია)
1:0 იორდი (49), 2:0 ხუანელე (77), 3:0 ხოსე იგნასიო (83)

**სელტა** (ესპანეთი) 4:0 **სიგმა** (ჩეხეთი)
1:0 კარპინი (41), 2:0 კატანია (64პ), 3:0 ედუ (68), 4:0 კარპინი (88)

**მარიტიმუ** (პორტუგალია) 1:0 **ლიდსი** (ინგლისი)
1:0 ბ. ფერნანდესი (34)

**ვესტერლო** (ბელგია) 0:2 **ჰერტა** (გერმანია)
0:1 შმიდტი (41), 0:2 ბაინლიხი (88)

**ჩერნომორეცი** (რუსეთი) 0:1 **ვალენსია** (ესპანეთი)
0:1 მისტა (55)

**ნოვა გორიცა** (სლოვენია) 1:2 **ოსიეკი** (ხორვატია)
0:1 ტურკოვიჩი (54), 1:1 ტეზაჩი (58), 1:2 ბესირევიჩი (75)

**ჟიჟკოვი** (ჩეხეთი) 0:0 **ტიროლი** (ავსტრია)

**ტრუა** (საფრანგეთი) 6:1 **რუჟომბეროკი** (სლოვაკეთი)
1:0 ლოკო (21), 2:0, 3:0 ბუტალი (27, 29), 4:0 მენირი (61), 5:0 ბუტალი (67), 5:1 კურტი (77), 6:1 ლოკო (84)

**როდა** (ჰოლანდია) 3:0 **ფილკირი** (ისლანდია)
1:0 ნიგაარდი (27), 2:0, 3:0 ანასტასიუ (65, 70)

**პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) 0:0 **რაპიდი** (რუმინეთი)

**ანჟი** (რუსეთი) — **გლაზგო რეინჯერსი** (შოტლანდია)
გაიმართება 27 სექტემბერს ვარშავაში

განაცხადა, რომ ძალიან მოეწონა კ[illegible]ტალი [illegible].

გაჭირვებით [illegible] რველ ტაიმში [illegible] მოიგო [illegible] „დნიპროსთან" საგარეო შეხვედრაში ფრითაც კმაყოფილი დარჩა.

წარმატებით დაიწყო თავისი ახალი ევროგზა ექტორ რაულ კუპერმა. მისმა „ინტერმა" დიდი ანგარიშით სძლია რუმინულ „ბრაშოვს". მილანური კლუბის გულშემატკივრებისთვის ყველაზე სასიხარულო რონალდოს მინდორზე გამოჩენა გახლდათ. მისი დაბრუნება „ინტერის" წინა ხაზს კიდევ უფრო გააძლიერებს, ბრაზილიელის ნიჭის თაყვანისმცემლებს კი მოსალოდნელი სიამოვნებისგან ხელების ფშვნეტას დააწყებინებს.

მეტად მძიმე ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება უკრაინულმა ცსკა-მ. მისი მეტოქე ერთ დროს სახელიანი „ცრვენა ზვეზდა" იყო. მიუხედავად საკუთარ კარში გაშვებული ბურთისა, მასპინძლებმა გამონახეს ძალა და ოცწუთიან შუალედში სამის გატანა მოახერხეს. ცსკა-ს რიგებში შეუცვლელად ითამაშა ლევან მიქაძემ, მის გუნდს კი შემდეგ წრეში გასასვლელად იუგოსლავიაში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა მოუწევს.

კახაბერ ჩხეტიანის „დებრეცენის" განადგურება პორტუგალიელმა პაულეტამ დაიწყო და დაასრულა კიდეც. უნგრელებმა დიდი ანგარიშით წააგეს. ჩხეტიანმა ამ შეხვედრაში წითელი ბარათი დაიმსახურა მაშინ, როცა ანგარიში 2:1 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. აბა, კაცნაკლული „დებრეცენი" ფრანგებთან რაღას გახდებოდა.

ჩვენთვის კარგად ნაცნობმა „ბირკირკარამ" 0:1 წააგო მოსკოვში, რამაც რუსები ერთობ გააკვირვა. ჩვენც ასე გაღიმებულ-გაკვირვებულები დაგვტოვეს მალტელებმა და გამორიცხული არაა, „ლოკომოტივს" „დინამოც" მიაყოლონ.

ფინეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, გერმანიის თასის ფინალისტი, მეორე ბუნდესლიგელი ბერლინის „უნიონი" დაუდგა მაგრად და ქულაც მიითვალა. გერმანელებს შინაურ კედლებში ნამდვილად ძალიან კარგად თამაში, რასაც ალბათ გამოიყენებენ კიდეც საპასუხო შეხვედრაში.

საფრანგეთის მეორე დივიზიონის მკვიდრი „სტრასბური" ბელგიაში „სტანდარტს" ხვდებოდა. მასპინძლებს იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდათ, თუმცა ფრანგები პირველი ტაიმის მიწურულამდე კარს მშრალად ინახავდნენ. გოლი მე-40 წუთზე გავიდა. ამან ბელგიელი გულშემატკივრები ისე გაახარა, რომ მოედანზე მაშხალა ისროლეს. პიროტექნიკური მოწყობილობა „სტრასბურის" მეკარის, ხოსე ლუის ჩილავერტის სიახლოვეს აფეთქდა. პარაგვაელმა ყურებზე ხელები მიიფარა და მინდორზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „სტანდარტის" მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მეკარემ მიშელ პრიუდომმა, ზოგიერთი ჩვენი დეპუტატობის კანდიდატივით მეგაფონი მოიმარჯვა და ტრიბუნებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. საბოლოოდ დაშინებულმა ფრანგებმა მატჩი წააგეს.

ნოვოროსიისკში მეორედ ჩასულ „ვალენსიას" მოგება საკმაოდ გაუჭირდა, მიზეზად კი ყველამ ერთხმად ქარი დაასახელა. დიახ, არაჩვეულებრივი ქარი, რომელმაც ფეხბურთელები უსაქმოდ დატოვა და ბურთს თავის ნებაზე ათამაშებდა. ესპანელებმა მაინც შეძლეს თავქარიანი ბურთის მორჯულება. პრესკონფერენციაზე მასპინძელთა მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა განაცხადა, რომ საპასუხო მატჩში მას მხოლოდ 2:0 გამარჯვება სჭირდება, რამაც დარბაზში სიცილ-ხარხარი გამოიწვია. აი, სანტიაგო კანისარესმა კი, რომელიც რუსთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, აღიარა, აქედან ტკბილი მოგონებები და ერთი კილო ხიზილალა მიმაქვსო, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, წითელი თუ შავი.

**გაგა ხუციშვილი**

# ერთი კილო ხიზილალისთვის



REUTERS ფოტო

სელტა — სიგმა. მასპინძელ ზვონიმირ ბობანს (მარჯვნივ) კოჭში მაგრად მოხვდა

**რამდენიმე** დღის წინ დევიდ ოლირიმ დაიჩივლა, უეფას თასის გათამაშება ჩემპიონთა ლიგის ღარიბი ნათესავიაო. გუშინწინ მას „იფსვიჩის" პრეზიდენტმა, დევიდ შიპშენკსმაც დაუკრა კვერი. „გათამაშების ფორმატს რადიკალური ცვლილებები სჭირდება, რადგან ბოლო წლების განმავლობაში მან თითქმის აზრი დაკარგა. უეფას თასს საკუთარი იმიჯი უნდა ჰქონდეს".

„იფსვიჩს" თავის იმიჯზე რომ მეტად ეზრუნა, უკეთესი იქნებოდა, რადგან 1981 წლის უეფას თასის მფლობელმა მოსკოვის „ტორპედოს" დიდი გაჭირვებით გაუტანა, თანაც შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე. მანამდე კი უკანმოუხედავად შეტევაში გადასულ მასპინძლებს ვიაზმიკინმა მე-14 წუთზევე აგრძნობინა, რომ წასაგებად არ ჩასულან ინგლისში. მან ტიტუს ბრემბლის საჩუქარი შეიშნო და „იფსვიჩის" მეკარეს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა. მატჩი სრულად ჩაატარა ელიკ საჯაიამ, თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე. ამ ფრის შემდეგ მოსკოველებს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ნამდვილად აქვთ. სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა რატი ალექსიძე მაშინ, როცა მისი „ჩელსი" ბულგარულ „ლევსკის" ამარცხებდა. ამ შეხვედრაში ორი გოლი ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენის ანგარიშზეა, რომლის კარგმა თამაშმა განაპირობა კიდეც მასპინძელთა გამარჯვება.

კიდევ ორმა პრემიერლიგელმა, „ასტონ ვილამ" და „ლიდსმა" შეირცხვინეს თავი. პირველი შინ, ხორვატიულ „ვარტექსთან" დამარცხა. აი, ოლირის შეგირდებს კი ეტყობათ, რომ უეფას თასი გულზე ნამდვილად არ ეხატებათ. ალბათ, ეს იყო მიზეზი პორტუგალიაში, „მარიტიმუსთან" მათი მარცხისა.

ჩვენი „დინამოს" დამაქცევარი „ბატე" კახა კალაძის „მილანს" 65-ე წუთამდე გაუძალიანდა. „იმპერატორად" წოდებული ფატიჰ თერიმი გუნდს ბელარუსიაში ვერ ჩაჰყვა. მილანელებს მეორე მწვრთნელი, ანტონიო დი ჯენარო ხელმძღვანელობდა, კალაძე კი სათადარიგო იყო. ანდრეი შევჩენკომ არც ამჯერად დაინდო მეზობლები და თავისი გაიტანა. მეორე გოლი ხავი მორენოს ანგარიშზეა, რომელიც მან 88-ეზე შეაგდო, რითაც ანგარიშს ოდნავ სოლიდური სახე მისცა. ესპანელმა ფორვარდმა მატჩის შემდეგ მასპინძლები ძალიან შეაქო, ანტონიო დი ჯენარომ კი პრესკონფერენციაზე

ამას წინათ რონალდომ ამხანაგურ მატჩში ითამაშა და გოლიც გაიტანა. რამდენიმე დღის წინ მილანში ბრაზილიიდან მისი მშობლები ჩავიდნენ, ხოლო ბრაზილიის ნაკრების წევრებმა საჭიროდ ჩათვალეს, თანაგუნდელისთვის მისალოცი წერილები გაეგზავნათ.

რონალდოს გარშემო ახალი ტალღის აგორების მიზეზი ორი რამ იყო – დღეს ფეხბურთელი საუკუნის მეოთხედისა მოიყარა და ფეხბურთში დაბრუნება.



# რონალდოს 25 წელი და 525 დღე

რონალდოს დაბადების დღეა და სწორედ ამიტომ ესტუმრნენ მას მშობლები, მაგრამ ამ მოვლენის მნიშვნელობა ოჯახის ფარგლებს დიდად არ სცილდება. ამიტომაც, რონალდოს დაბადების დღე მივულოცოთ და უფრო საინტერესო საკითხზე — მის ფეხბურთში დაბრუნებაზე ვილაპარაკოთ. რამდენიმე დღის წინ მილანში ხმა გავარდა, რონალდო მოედანზე გასასვლელად მზად არისო და რაკი „ინტერს" უახლოესი თამაში უეფას თასზე რუმინელ „ბრაშოვთან" ჰქონდა, გადაჭრით ითქვა, სწორედ ამ მატჩში გამოვაო.

ყოველ კონკრეტულ მატჩში ვინ ითამაშებს და ვინ არა, ერთადერთმა კაცმა უწყის — მწვრთნელმა და ჟურნალისტებიც, ცხადია, ექტორ რაულ კუპერს მიადგნენ, ჩვენ რომ გვსურს, ის პასუხი მოგვეციო.

მოგეხსენებათ, კუპერი სამწვრთნელო საქმეებში დიდად გამოცდილი კაცია და იცის, რომ ხალხის ნებას თუ დაჰყვება, პოპულარობას მოიხვეჭს, მაგრამ ხალხის რჩეულმა შემადგენლობამ თუ ვერ მოიგო, მათივე რისხვა სწორედ მწვრთნელს დაატყდება. სწორედ ასე თქვა: „ნაკლებად მაღელვებს, თუ რა სურს ხალხს, რადგან შედეგზე მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი".

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რონალდო გამოჯანმრთელდა (სხვა საკითხია, რამდენი ხნით) და ჯანმრთელი რონალდოს უთამაშებლობაც არ იქნება. ამაზე კუპერმა განაცხადა,: „რონალდოს დაბრუნებას ყველაზე მეტად მე ველოდები. რონალდოიანი „ინტერი", ცხადია, ახლანდელზე ძლიერი იქნება, მაგრამ არის ის მზად, რომ 90 წუთი ითამაშობს? დიახ, ის გამოჯანმრთელდა, მაგრამ როგორ შეიძლება, ჩვიდმეტთვიანი უთამაშებლობა სათვალავში არ ჩავაგდოთ. სხვათა შორის, რონალდოს რომ ველაპარაკე, დამეთანხმა, თავადაც იცის, რომ ძველებურ ფორმაში ჩასადგომად დრო სჭირდება. მიხარია, რომ ის ძალიან გამგები და მომთმენი ბიჭია".

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური მომენტიც — 2000 წლის 12 აპრილს იტალიის თასის ფინალში ექვსი წუთის გასული რონალდო ისე დაიმტვრა, კაციშვილი არ შეხებია.

მწვრთნელის სიტყვებიდან მილანელებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ „ბრაშოვთან" რონალდოს სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მათ ისიც იგრძნეს, რომ კუპერი ბრაზილიელს რამდენიმე წუთით მაინც ათამაშებდა.

მატჩი დაიწყო. ჰო, მატჩი „სან სიროს" ნაცვლად იტალიის საპორტო ქალაქ ტრიესტში ჩატარდა და 15 ათასი მაყურებელი დაესწრო. 15 ათასი ცოტა სულაც არ არის. ერთი რომ ტრიესტელთათვის რონალდო იგივეს არ ნიშნავს, რაც მილანელთათვის და იქაური სტადიონიც მეტს არ იტევს.

მოკლედ, თამაში დაიწყო. „ინტერის" გამარჯვებაში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა (ბოლოს და ბოლოს კუპერმა ევროთასებზე გუნდის მომზადება როგორ არ იცის) და პირველივე ტაიმში სტეფან დალმამ, მოჰამედ კალონმა და ლუიჯი დი ბიაჯომ რწმენა რეალურ სამ გოლად აქციეს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და რონალდო კუპერმა 62-ე წუთზე ამომავალი ბრაზილიელი ვარსკვლავის, ადრიანოს ნაცვლად შეუშვა. 2000 წლის 12 აპრილიდან ამ დღემდე მკურნალობის 525 დღე გასულიყო.

რონალდომ ბრაშოველ მეკარეს ორჯერ ხეირიანად დაურტყა, ეს იყო და ეს. თუმცა პირველ მატჩში მას მეტი არც მოეთხოვება. თავად თქვა: „უპირველესად თამაშის რიტმში ჩაჯდომას ვცდილობდი. აქამდე რამდენიმე ამხანაგურ მატჩში ვითამაშე, მაგრამ ამხანაგურის რიტმი დიდად განსხვავდება. საზოგადოდ კი ერთ რამეს ვიტყვი — უზომოდ ბედნიერი ვარ".

კუპერის მატჩისწინა განწყობაზე უკვე ვთქვით და ახლა მისი მატჩისშემდგომი კომენტარიც მოვისმინოთ: „ორ ძალიან მნიშვნელოვან მომენტს გამოვარჩევ. პირველი რონალდოს დაბრუნებაა, მეორე ის, რომ ყველამ კარგად ითამაშა".

კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კი თქვა: „უაღრესად აღელვებული ვარ, როგორც რონალდოს ქომაგი და მეგობარი. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია".

**ირაკლი ნინიძე**



ექტორ რაულ კუპერმა რონალდო მოედანზე შეუშვა თუ არა, მანაც ისევ ძველებურად გაშალა მუხლი და ხელი

REUTERS ფოტოებიდან



# მოდი, ნიძლავი, მარადონა არ წასულა!

**ვინმემ** რომ ერთი ავანტიურული კითხვა დაგისვათ, დიეგო მარადონა მართლა წავიდა ფეხბურთიდან თუ არაო, ალბათ, გაიფიქრებთ, ეს კაცი ან დროს და ეპოქას ჩამორჩა, ანაც საღ გონებაზე ვერ უნდა იყოსო. ზრდილობის გამო ეგებ უპასუხოთ, რა ხანია, აღარ თამაშობს, ცხადია, წავიდაო. არადა, რომ შემოგედავოთ, მართალი ის აღმოჩნდება.

ყოველივე ამის დამამტკიცებელი საბუთი თუ გნებავთ, 10 ნოემბერს ტელევიზორი ჩართეთ და ბუენოს აირესიდან ამხანაგური მატჩის რეპორტაჟი იხილეთ (თუ რა თქმა უნდა, ამის საშუალება გექნებათ). ამ თამაშში დიდ არგენტინელს გააცილებენ ფეხბურთიდან. ახლა ისევ ავანტიურულ კითხვას დავუბრუნდეთ. რა გამოდის? რახან მარადონას მხოლოდ 10 ნოემბერს გააცილებენ, ესე იგი, მანამდე იგი არ წასულა. აბა, ვინ აღმოჩნდა მართალი, თქვენ თუ კითხვის ავტორი?!

მეტსაც გეტყვით. ბუენოს აირესში დიდი არგენტინელის პატივსაცემად მისი ეროვნული გუნდი და მსოფლიოს ვარსკვლავთა ნაკრები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ნაკრებში უკვე მიწვეულები არიან ხრისტო სტოიჩკოვი, ხოსეპ გვარდიოლა, რივალდო, სავიოლა და კლუივერტი. ეს ის ხალხია, ვისაც მარადონას ყოფილ კლუბ „ბარსელონაში" ან უთამაშია, ანაც ახლა თამაშობს...

...მაგრამ მარადონა რისი მარადონა იქნებოდა, მისი გენიალური ფანტაზია ამით ამოწურულიყო. და მან „ბარსას" უფრო ადრეული ხანის ვარსკვლავს, იოჰან კრუიფს უხმო მსოფლიოს ნაკრებში სათამაშოდ. „მფრინავი ჰოლანდიელის" პასუხი ჯერ უცნობია.



## მერკონორტეს თასი

18-19-20 სექტემბერი

**A ჯგუფი. III ტური**

**ნეკაქსა (მექსიკა) 2:1 ალიანსა (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეკაქსა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ალიანსა | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ამერიკა დე კალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| აუკასი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**C ჯგუფი. IV ტური**

**სანტოს ლაგუნა (მექსიკა) 3:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოს ლაგუნა | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| სპორტინგ კრისტალი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| კანზას სიტი ვიზარდსი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 3 |
| ბარსელონა | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

**D ჯგუფი. IV ტური**

**ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) 0:0 ემელეკი (ეკვადორი)**
**უნივერსიტარიო (პერუ) 2:0 ბლუმინგი (ბოლივია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო ნასიონალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| უნივერსიტარიო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| ემელეკი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ბლუმინგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## მერკოსურის თასი

18-19-20 სექტემბერი

**A ჯგუფი. V ტური**

**უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 2:1 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| ვასკუ და გამა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |

**B ჯგუფი. IV ტური**

**სან ლორენსო (არგენტინა) 3:0 ოლიმპია (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ფლამენგო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ნასიონალი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |

**D ჯგუფი. V ტური**

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 3:0 პენიაროლი (ურუგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტალერესი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| სან პაულუ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ველეს სარსფილდი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| პენიაროლი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | 5 |

# 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

### C ჯგუფი. III ტური

**ბურკინა ფასო 1:1 ომანი**

1:0 ნიკიემა (22), 1:1 ალ მინაი (33)
მსაჯი: ალექსანდრუ დან ტუდორი (რუმინეთი)
7 000 მაყურებელი

**ესპანეთი 2:4 არგენტინა**

0:1 კოლაჩე (33), 1:1 გილერმო (23), 2:1 სენელი (30), 2:2 მ. ლოპესი (57), 2:3 საბალეტა (72), 2:4 აგირე (83)
გაძევება: ხესუსი (62, ესპანეთი)
მსაჯი: რუდოლფო სიბრიანი (სალვადორი)
9 300 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| ბურკინა ფასო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ომანი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

არგენტინა და ბურკინა ფასო გავიდნენ მეოთხედფინალში

### D ჯგუფი. III ტური

**კოსტა რიკა 0:2 მალი**

0:1 ბ. კულიბალი (20), 0:2 დ. დიარა (33)
მსაჯი: პაულუ სეზარ ოლივეირა (ბრაზილია)
4 000 მაყურებელი

**პარაგვაი 3:2 ირანი**

1:0, 2:0 ა. პერესი (19, 42), 3:0 ხარა (66), 3:1, 3:2 აშმადზადემი (81, 90)
გაძევება: კაბეი (63, ირანი), მაჩუკა (90, პარაგვაი), ასადოლაპი (90, ირანი)
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)
4 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| მალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ირანი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

კოსტა რიკა და მალი გავიდნენ მეოთხედფინალში

### მეოთხედფინალი

23 სექტემბერი
ბრაზილია — საფრანგეთი
ნიგერია — ავსტრალია
24 სექტემბერი
არგენტინა — მალი
კოსტა რიკა — ბურკინა ფასო

**დავიწყოთ** იმით, რაც ყველაზე საინტერესო იყო, ანუ არგენტინისა და ესპანეთის მატჩით. ევროპელებს ორ თამაშში სამი ქულა ჰქონდათ მოგროვებული, სამხრეთამერიკელებს კი — ოთხი. ამდენივე ქულა ჰქონდა ბურკინა ფასოს, რომელიც ბოლო ტურში აუტსაიდერ ომანს ხვდებოდა და ქულაც რომ აელო, მეოთხედფინალში გადიოდა.

საბოლოოდ ისეც მოხდა, რომ ბურკინა ფასომ სასურველი ქულა მოიპოვა და ჯგუფიდან გააღწია. რვა საუკეთესოს შორის მოხვდა არგენტინაც, რომელმაც ევროპის მოქმედი ჩემპიონი დააჩოქა.

თამაში დრამატული გამოდგა — იყო გაძევებაც, პენალტიც და წაგებული პირველი ტაიმის შემობრუნებაც. თერთმეტმეტრიანი მატჩის მესამე წუთზევე დაინიშნა. არგენტინელი კარლოს ტავერი ესპანელთა საჯარიმოში შეიჭრა, დამხვდურმა მცველმა ხესუსმა კი ბურთს ხელი შეახო. არბიტრმა ნიშნულისკენ მიუთითა, იქიდან კი კაპიტანმა უგო კოლაჩემ დაარტყა ზუსტად და არგენტინა დაწინაურდა.

ევროპის ჩემპიონები რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ ფრეც არ აძლევდათ ხელს. დაიწყო გამალებული შეტევები და პირველ ოც წუთში არგენტინელთა კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ანგარიში კი ესპანელებმა 25-ე წუთზე გაათანაბრეს. მიურმომ ორ მცველთან ჭიდაობისას მაინც მოახერხა დარტყმა.

ესპანელთაგან ყველაზე გამორჩეული იყო მადრიდის „რეალის" ახალგაზრდული გუნდის მოთამაშე დიეგო ლეონი. მეორე გოლის ავტორი რენელიც სამეფოკლუბელმა მოამარაგა ზუსტი პასით. ამის მერე ესპანელებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ არ გაუმართლათ და ტაიმი 2:1 მოიგეს.

მეორე ტაიმში უპირატესობა გარდამავალი იყო. ორივე გუნდს კარგი მომენტები ჰქონდა, ბედმა კი არგენტინას გაუღიმა. 57-ე წუთზე მაქსიმილიანო ლოპესმა გაიხარა. უნდა ითქვას, რომ ეს ფეხბურთელი წინა ორ თამაშშიც გამოირჩეოდა.

62-ე წუთზე ესპანელები საბოლოოდ გატყდნენ. უხეშობისთვის მარჯვენა მცველი ხესუს ფერნანდესი გააძევეს და კაცნაკლულ ევროპელებს არგენტინელებმა კიდევ ორი გოლი გაუტანეს და 4:2 მოუგეს. მეოთხედფინალში მათი მეტოქე მალი იქნება, ბურკინაფასოელები კი კოსტა რიკას შეხვდებიან.

დრამატული იყო D ჯგუფის მატჩებიც. ორი ტურის შემდეგ კოსტა რიკას, მალის და პარაგვაის შეეძლოთ მეოთხედფინალში გასვლა. საბოლოოდ სამივე გუნდმა ექვს-ექვსი ქულა დააგროვა, მაგრამ უარესი მაჩვენებლით პარაგვაი გაიწირა.

**ნიკა შუბლაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურკინა ფასო — ომანი. ვილფრედ სანუმ (ზევით) და ბურკინაფასოელებმა მეოთხედფინალში ამოჰყვეს თავი


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ჩაბღაუჭება

სამი წლის წინათ, სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ერთი ფრანგი ჟურნალისტი ამბობდა, ფეხბურთელებს სამოსი ქალალდისგან ან რაიმე იოლად გასახევი ნაჭრისგან უნდა შევუკეროთ და იოლად დავინახავთ, მოთამაშეს ჩაებღაუჭა თუ არაო.

საინტერესო აზრია, თუმცა უტოპიური.

ასე რომ მოვიქცეთ, დღევანდელი ფეხბურთი ამერიკულ ფეხბურთს დაემსგავსება. იქ ხომ თამაში, ძირითადად გაჩერებულია. ოღონდ, არა მაისურების შემოხევის გამო, არამედ წაქცევა-ზედახორის გამო. იქ ასეა: რვა-ათი წამი და თამაში ოცი-ოცდახუთი წამით ჩერდება. ჩვენს ფეხბურთშიც ასე იქნება, ოღონდ იმიტომ, რომ სამოსშემოხეულმა ფეხბურთელმა ახალი მაისურა მოირგოს. ამას გვარიანი დრო დასჭირდება, აბა, კაცი ჩამოფლეთილი ხომ არ ირბენს? ესეც არ იყოს და თამაშის შემდეგ, ფეხბურთელები ქალალდის ნაგლეჯებს ხომ არ გაუცვლიან ერთმანეთს.

ვერონს რივალდოს მაისურის ნახევი შერჩება, რივალდოს კი ვერონისა. რა თავში იხლიან?

1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის შემდეგ, საუცხოო ბელგიელი მეკარე ჟან მარი პფაფი მის კარში ორი გოლის გამტან დიეგო მარადონას მიექრა და მაისურა გამოართვა, შვილიშვილებისთვის მჭირდებაო. რაღა შავ ქვას გამოართმევდა?

არადა, ვითარება ისეთია, რომ მაისურაზე ჩაბღაუჭება ძალიან პოპულარული რამ ხდება. ეს საფეხბურთო სამოსიც მეტად გამძლეა. ყველა ჩაბღაუჭებაზე რომ მსაჯმა ჩასტვინოს, ამერიკული ფეხბურთი მონაგონი იქნება, იყო თუ არა პენალტი „სელტიკის“ კარში სამშაბათ საღამოს? ჩაბღაუჭება ჯარიმაა, მაგრამ ყველა ჩაბღაუჭებაზე რომ არ უსტვენენ? მოდი და გაიგე.

მე სამოსის შემოხევის მხოლოდ სამი შემთხვევა მახსოვს: ოსვალდო არდილესს რომ მაისურა შემოაგლიჯეს 1982 წელს არგენტინა — იტალიის მატჩში, პრებენ ელკიაერს რომ ტრუსი შემოეძარცვა 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთ— დანიის შეხვედრაში და მიშელ პლატინისაც რომ ასევე ტრუსი შემოახიეს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილია — საფრანგეთის თამაშში. არც ერთ ამ შემთხვევაში ჯარიმა არ დანიშნულა. იმის შემდეგ კი სამოსი ასგზის გამძლე გახდა.

არის თუ არა ჯარიმა სამოსზე ჩაბღაუჭება?

არის.

მაგრამ როდის უნდა დაუსტვინო და როდის არ უნდა დაუსტვინო?

საკითხავი აი ესაა.

# არგენტინელი ტურისტის მორალური სახე

## რედონდოს ბურთთან და სინდისთან არაფერი ეშლება



**შარშან** „რეალიდან“ „მილანში“ გადასულ ფერნანდო რედონდოს ერთ წელიწადზე მეტი გაუცდა. მას ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე დაუშავდა მარჯვენა მუხლი და ფაქტობრივად თამაშგარე აღმოჩნდა.

ამ დღეებში რედონდომ მსოფლიოს ისევ შეახსენა თავი. არგენტინელმა მილანის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის გულისამაჩუყებელი სიტყვები უთხრა. კერძოდ, მან პირადი მორალური მოსაზრებების გამო ხელფასსა და პრემიებზე უარი თქვა, სანამ ფეხი არ მომირჩება, მაგ ფულს ხელს არ მოვკიდებო. ამ სიტყვების გამგონე გალიანიმ თვალზე მომსკდარი ცრემლი ძლივს შეიკავა, ყელს მიბჯენილი გული კი ამ კეთილშობილური განცხადებისგან კინაღამ დაეწვა. მას ხომ ფეხბურთელებთან ძირითადად ხელფასების გაზრდაზე უწევს არასასიამოვნო საუბარი.

„ტენერიფეს“ და „რეალის“ ყოფილი მოთამაშე ათი წელია, ევროპაშია. ამ ხნის განმავლობაში მან საკმაო კაპიტალიც დააგროვა. ამჟამად ფერნანდო რედონდო მადრიდში იმყოფება, სადაც მკურნალობის ბოლო ეტაპს გადის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თუკი სუფრას გაიშლით, მოსვლას ნუღარ დამიშლით

**მადრიდელი** „პურისმჭამელები“ — ფლორენტინო პერესი, ხორხე ვალდანო, ვისენტე დელ ბოსკე, კიდევ ოთხი ფეხბურთელი, რომლებიც გუნდს ერთმანეთის არყოფნაში კაპიტნობენ: იერო, რაული, გუტი და მორიენტესი შეიკრიბნენ. ამ წვეულებაზე დაპატიჟებული არ იყო „რეალის“ ეგრეთ წოდებული „ძრავი“ — რობერტო კარლოსი. გულშემატკივართა ბრაზილიელი კერპი წინ და უკან სირბილით ჯერ ისე არ დაჩაჩანაკებულა, რომ ამათი შეკრება გამოპპარვოდა. მართალია, ზემოხსენებულ სადილზე მხოლოდ იმ მოთამაშეებს პატიჟებენ, ვინც „რეალს“ კაპიტნობს (მას „კაპიტანთა სადილი“ ჰქვია), მაგრამ თავგადაპარსულ რობერტოს ტვინი თმებისთვის ნამდვილად არ გაუყოლებია. იგი ბოლომდე იხარჯება და ხშირად ბარე ორი კაცის მაგივრადაც. სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში რომში თამაშისას ყურადღებიანი ტელემაყურებელი ასეთ სურათს ხშირად შეამჩნევდა: კადრში მოჩანს მაღალ სიჩქარეზე მოძრავი მაკმანამანი, რომელსაც რობერტო კარლოსი უსწრებს.

სწორედ ამიტომ; თავდაუზოგავი ფეხბურთელი კლუბის ხელმძღვანელობისგან მეტ ყურადღებას ითხოვს. ამის შესახებ მან ესპანურ „რადიო მარკაშიც“ დაიჩივლა: „რა თქმა უნდა, გუნდში, მოთამაშეებს ვგულისხმობ, ყველას ვუყვარვარ, თუმც ჩემს მიმართ ხელმძღვანელობა სათანადო პატივისცემას არ იჩენს. ამის გამო და სხვა საკითხების გასარკვევადაც ვალდანოს ვესაუბრე კიდეც.“

რობერტო კარლოსმა ერთგულება „ლოკომოტივთან“ მატჩშიც დაამტკიცა, თან ერთი ლამაზი გოლიც გაიტანა. კითხვაზე, თუ როგორ შეძლო მან ეს, უპასუხა, ფიგუსგან ვისწავლეო.

ყოველივე ამის შემდეგ ბრაზილიელმა ისიც ბრძანა, მე ჩემი საკადრისი წლიური ხელფასიც მეკუთვნისო. ასეა, თითქოს ყველაფერი კარგადაა, თუმც ერთი ანეგდოტისა არ იყოს, შორიდან მეც ეგრე მეგონაო...

**ვაჟა ხუციშვილი**



რობერტო კარლოსი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა



იდგა ხუჭუჭი მოედნის კიდესთან და ფრჩხილებს იჭამდა.

— ჯონათან, ვალტერ, ფრანჩესკო, ვენსან, გაბრიელ, ვინჩენცო, მოგება არ გინდათ? — იღრიალა მერე შეშლილი ხმით.

— კი, კი, გვინდა, როგორ არ გვინდა, ძალიან გვინდა ჩვენ მოგება — უპასუხეს ჯონათანმა, ვალტერმა, ფრანჩესკომ, ვენსანმა, გაბრიელმა, ვინჩენცომ და კიდევ ვიღაც არამკითხეებმა და სანამ ამას პასუხობდნენ, გოლი გაუშვეს.

ხუჭუჭმა იგრძნო, რომ ხელზე მოსაჭმელი აღარაფერი იყო და მეორეზე გადავიდა.

— ჯონათან, ვალტერ, ფრანჩესკო, ვენსან, გაბრიელ, ვინჩენცო დამანახეთ, რომ მოგება გინდათ, დამარწმუნეთ — იღრიალა ისევ ერთი ხნის შემდეგ.

ჯონათანი, ვალტერი, ფრანჩესკო, ვენსან, გაბრიელი და ვინჩენცო დაიჭყანნენ, რაც შეიძლება ბოროტი გამომეტყველება მიიღეს და სანამ იჭყანებოდნენ მეორე გოლი გაუშვეს.

ხუჭუჭმა იგრძნო, რომ მოსაჭმელი მეორე ხელზეც აღარაფერი იყო, ფეხებზე გადასვლა კი არ შეიძლებოდა — საზიზღარი ჟურნალისტები მეორე დღესვე გაზეთში გამოჭიმავდნენ. რა ქნას, რა იღონოს?

— ჯონათან, ვალტერ, ფრანჩესკო, ვენსან, გაბრიელ, ვინჩენცო, ნუ იჭყანებით, ეგ ბევრს არაფერს ცვლის, საქმეში გაბრაზდით, მოგება უნდა გშიოდეთ — დაიღრიალა სასოწარკვეთილმა.

გაგიჟდა — გაიფიქრეს ჯონათანმა, ვალტერმა, ფრანჩესკომ, ვენსანმა, გაბრიელმა და ვინჩენცომ — ამ შუა თამაშში ჭამაზე დაიწყო ლაპარაკი. ალბათ, მოშივდა. ნუთუ დღეს დილით არაფერი უჭამია? აბა, ის პიცა ვინ შესანსლა, ნუთუ... და სანამ პიცაზე ფიქრობდნენ მესამე გოლი გაუშვეს.

ხუჭუჭმა ხელები გაშალა, შემდეგ ცალი ხელით წრფე შემოხაზა, მეორით თითქოს წრე გაავლო და ისევ პირველი ხელით ზევიდან ქვევით რაღაც ჩამოჭრა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ეს ფეხბურთელების დასანახად გააკეთა, ოღონდ, რას ნიშნავდა, თავად არ იცოდა.

ჯონათანმა, ვალტერმა, ფრანჩესკომ, ვენსანმა, გაბრიელმა და ვინჩენცომ გაოგნებულებმა შეხედეს ჯერ ხუჭუჭს, შემდეგ ერთმანეთს და მეოთხე გოლი გაუშვეს.

ხუჭუჭმა როდენის მოაზროვნის პოზა მიიღო. რატომ ვდგავარ ახლა ამ პოზაში? — ჰკითხა მერე საკუთარ თავს და პასუხი ვერ გასცა. არა, მოტივაციაა საჭირო. ბიჭებს სტიმული სჭირდებათ. აი, შარშან ჩემპიონები რომ გავხდით, იმის ბრალია. ნეტავ არ გავმხდარიყავით!

ხელფასების მომატებას ხომ არ დავპირდე? — გაუელვა აზრმა, მაგრამ ხელადვე უარჰყო. ხელფასებს ველარ მოუმატებს. ფულის მოჭრა გახდება საჭირო, რადგან რაც მოჭრილია, ისედაც ამათი ხელფასია, მაშ, რა...

— ჯონათან, ვალტერ, ფრანჩესკო, ვენსან, გაბრიელ, ვინჩენცო, აბა, სცადეთ და ვინმეს ფეხი მოტეხეთ — გაისმა მალე ფიქრიანი ბღავილი.

ჯონათანი, ვალტერი, ფრანჩესკო, ვენსანი, გაბრიელი, ვინჩენცო, რომელიღაცას გაეკიდნენ ძვლის გადასამტვრევად. თან, გზაში ფიქრობდნენ, მარჯვენა ფეხი მოეტეხათ თუ მარცხენა და ამასობაში მეხუთე გოლი გაუშვეს.

ხუჭუჭმა სათადარიგოთა სკამთან წინ და უკან შმაგი ნაბიჯებით დაიწყო სიარული. ღელავს, გაიფიქრეს ჯონათანმა, ვალტერმა, ფრანჩესკომ, ვენსანმა, გაბრიელმა და ვინჩენცომ. ვღელავ, გაიფიქრა თავადაც. ამასობაში შენიშნა, რომ პირველ ხელზე ისევ მოეზარდა ფრჩხილები.

მერე ისევ, იდგა ხუჭუჭი მოედნის კიდესთან და ფრჩხილებს იჭამდა.

არა, „რომა“ წლეულს აშკარად ველარ თამაშობს ისე, შარშან, რომ თამაშობდა.

**პაპუნა კედია**

*განცხადება: ხვალ, 15 საათზე, „სარბიელის“ „კოსმოპოლიტური ბიუროს“ ოფისში, (22-ე სართულზე) გაიმართება მოძრაობის „რქაწითელი გადაარჩენს საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობა. დასწრება თავისუფალია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

პაპუნა კელია

# თამაში თერიმის მოედანზე

| IV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ლეჩე | - | იუვენტუსი |
| ხვალ | | |
| ატალანტა | - | ვერონა |
| კიევო | - | პიაჩენცა |
| პარმა | - | ბრეშა |
| პერუჯა | - | უდინეზე |
| რომა | - | ფიორენტინა |
| ტორინო | - | ინტერი |
| ვენეცია | - | ბოლონია |
| მილანი | - | ლაციო |

| საჯღეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 9 |
| მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 7 |
| ინტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 7 |
| კიევო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 6 |
| ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:2 6 |
| ბრეშა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 5 |
| ვერონა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 5 |
| ლეჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 5 |
| პიაჩენცა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 4 |
| ლაციო | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 3 |
| ფიორენტინა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 3 |
| უდინეზე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 2 |
| პარმა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 2 |
| ტორინო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 2. |
| რომა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 2 |
| პერუჯა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 2 |
| ატალანტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 0 |
| ვენეცია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 0 |




„ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ (მარჯვნივ) ალბერტო ძაკერონი მის ყოფილ კლუბთან საბრძოლველად გაუშვა

REUTERS რომიდან

**ალბერტო ძაკერონი** „ლაციოს" ხელმძღვანელობას თავისი ყოფილი გუნდის, „მილანის" წინააღმდეგ თამაშით იწყებს. კვირას, საქართველოს დროით 23:30-ზე „სან სიროზე" ტურის ცენტრალური მატჩი დაიწყება.

ძაკერონიმ რომაულ გუნდში დინო ძოფი შეცვალა. იტალიის 2000 წლის ჩემპიონის ხელმძღვანელთათვის ამ სეზონში, ზედიზედ ხუთი მატჩიდან თუნდაც ერთის ვერ მოგება, მეტისმეტი შეურაცხოფა გამოდგა. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, შინ „ნანტთან" ნაწვნევმა 1:3-მა კი მოთმინების თიალა აავსო და ამ ყველაფერმა მწვრთნელის თანამდებობაზე ცვლილება გამოიწვია.

ახალ თავკაცს იმედი აქვს, რომ მისი მისვლა „ლაციოს" საბრძოლო სულისკვეთებას აამაღლებს. სტატისტიკა ასეთია: იტალიის ჩემპიონატის ჯერჯერობით ჩატარებულ სამ ტურში, რომაელებმა სამჯერ ფრედ ითამაშეს, მაგრამ ეგ არაფერი. უფრო მთავარი ის არის, რომ „ლაციოს" „სან სიროზე", „მილანისთვის" აგერ უკვე 12 წელიწადია არ მოუგია.

„მილანელები უთუოდ გაძლიერდნენ. დახეთ, რა მებრძოლი გუნდი ჰყავთ, მაგრამ მე, ჩემი ახალი ფეხბურთელებისგან განსაკუთრებულ თამაშს ველი" — განაცხადა ძაკერონიმ.

ხოლო, რაც შეეხება მის ოპონენტს, „მილანის" თურქ თავკაცს, ფათიჰ თერიმს, იგი უთუოდ სიამოვნებით იგონებს წინა სეზონის ამბავს, როდესაც თავად „ფიორენტინას" ედგა სათავეში, ძაკერონი კი „მილანს" და შეხვედრა მისი გუნდის გამარჯვებით (4:1) [illegible] ში ფლორენციაში, [illegible] თერიმის მოედანზე შედგა. შეხვედრა ამჯერადაც თერიმის მოედანზეა.

მილანელთა დიდი პლუსი კიდევ ის გახლავთ, რომ პირველ ტურში დაშავებული პორტუგალიელი რუი კოშტა მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდა და ხვალ მოედანზე რომ ვიხილოთ, არ უნდა გაგვიკვირდეს.

ლიდერი „იუვენტუსი", რომელმაც სამიდან სამი თამაში მოიგო, დღეს, ასევე 23:30-ზე ლეჩეში თამაშობს. ტურინელთა გუნდს დაუბრუნდნენ დაშავებულები, ჯანლუკა ძამბროტა და იგორ ტუდორი, ვაჟკაცი ხორვატი, რომელმაც წინა ტურში ცხვირი გაიტეხა, მაგრამ მოედნიდან არ გასულა, ცხვირგატეხილმა გოლიც კი გაიტანა და თამაშის მერეღა მიმართა ექიმებს. და, რაც მთავარია, „ბებერ ქალბატონს" უბრუნდება ედგარ დავიდსი.

„ინტერი" ტურინში მიდის „ტორინოსთან". მიდის უკვე რონალდოიანად, რომელმაც ხუთშაბათს, უეფას თასზე გაიხსენა, როგორია მოედანზე გასვლა. ოღონდ, თუ „ბაჭია" ბრაზილიელი მოედანზე შევა, ცხადია, არა თავიდანვე, არამედ მოგვიანებით.

მაგრამ მილანელებს არ ეყოლებათ დაშავებული კრისტიან ვიერი, რის გამოც, ეკტორ რაულ კუპერს ბრაზილიელ ადრიანოს, ნიკოლა ვენტოლასა და მოჰამედ კალონს შორის მოუწევს არჩევა.

ჩემპიონი „რომა" გაკოტრებულ „ფიორენტინას", ალბათ, ბრაზილიელების, ემერსონისა და ძაგოს გარეშე ჩააკითხავს. ნაცვლად, ფაბიო კაპელოს განკარგულებაში იქნება ფლორენციის გმირი, ძეგლდადგმული გაბრიელ ბატისტუტა.

ჯერჯერობით მოგების გარეშე მიდის „პარმაც", თუმცა, ამას რომ ვამბობთ სერია A-ს ვგულისხმობთ, თორემ უეფას თასზე ფინურ ჰიკს ძალიან კოხტად მოუგო 3:1. ახლა, ამ განწყობილების გაგრძელებას პარმელები „ბრეშას" მასპინძლობის დროს აპირებენ. ბრეშელებს ავსტრიელი ნახევარმცველი მარკუს შოპი არ ეყოლებათ.

# ინგლისი

გიგა კობახიძე

# ეძებეთ მცველი!

| VII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| არსენალი | - | ბოლტონი |
| ბლექბერნი | - | ევერტონი |
| ლესტერი | - | ფულემი |
| ლივერპული | - | ტოტენჰემი |
| მანჩესტერი | - | იფსვიჩი |
| სანდერლენდი | - | ჩარლტონი |
| ხვალ | | |
| ჩელსი | - | მიდლსბრო |
| ლიდსი | - | დერბი |
| ვესტ ჰემი | - | ნიუკასლი |
| იფსვიჩი | - | ბლექბერნი |
| ზეგ | | |
| საუთჰემპტონი | - | ასტონ ვილა |

| საჯღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:3 | 11 |
| ლიდსი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:4 | 10 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:10 | 8 |
| ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| სანდერლენდი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ასტონ ვილა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ბლექბერნი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| მიდლსბრო | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| იფსვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| ფულემი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| დერბი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ჩარლტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლესტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | 4 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | 3 |
| ვესტ ჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |

**ერთი თვის** წინ, პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყების დღეს, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მეშვიდე ტურის ცენტრალური მატჩი ლონდონის „ჰაიბერიზე" შედგებოდა, მაგრამ ერთი შეხედვით უბრალო „არსენალი" — „ბოლტონი" დღეს ლიდერთა ჯახია. ელიტაში წლეულს დაბრუნებულმა ბოლტონელებმა შუა კვირაში „ბლექბერნთან" 1:1 ითამაშეს და ცხრილის სათავეში მოექცნენ, თუმცა დედაქალაქში სტუმრობა მათთვის ალბათ პირველი სერიოზული გამოცდაა, მით უმეტეს, რომ გუნდში რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელია. სამაგიეროდ, სიმენის კარის აღებას შეეცდება გლაზგოს „რეინჯერსიდან" ნაყიდი როდ უოლესი, ვისაც სქოთურ კლუბში ხუთი თვე არ ეთამაშა, მაგრამ „ბლექბერნთან" დებიუტი გოლით აღნიშნა.

უდანაკლისო არც „არსენალია": სოლ კემპბელს ფეხი სტკივა, მარტინ კიოუნი კი დასჯილია, ამიტომ არსენ ვენგერმა დიდად გაიხარა, როცა ტონი ადამსის გამოჯანმრთელება ამცნეს. საერთოდაც, „მეთოფეთა" დაცვას რომ უჭირს, „შალკესთან" გაჭირვებით მოგებულმა შეხვედრამაც დაგვანახა — გერმანელებმა მასპინძელთა კარში 16-ჯერ დაარტყეს და ორზე მეტი რომ ვერ გაიტანეს, უიღბლობას და სიმენს უნდა დააბრალონ.

დაცვის პრობლემები არც „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" არის უცხო — 5 მატჩში ბარტეზმა უკვე 10 გოლის გაშვება მოასწრო, თანაც „იფსვიჩთან" დღევანდელ თამაშში ალექს ფერგიუსონს „ლილთან" ტვინშერყეული გარი ნევილი დააკლდება. ვარაუდობენ, რომ სქოთი მწვრთნელი თავდასხმაშიც როტაციას მიმართავს, ბექემი კი ეგებ მთლად დაასვენოს. საინტერესოა, რომ 1995 წელს „იფსვიჩი" „ოლდ ტრეფორდზე" 0:9 გაბითურდა, თუმცა იმ დროიდან ბევრი რამ შეიცვალა.

8 წელი გავიდა მას მერე, რაც „ტოტენჰემმა" ბოლოჯერ იზეიმა გამარჯვება „ენფილდ როუდზე" — ერთი გოლი „ლივერპულის" კარში მაშინ ტედი შერინგემმა გაიტანა. გლენ ჰოდლის გუნდის ახლანდელი კაპიტანი დღესაც ჩინებულ ფორმაშია, თუმცა მწვრთნელს სხვა საზრუნავი არ აკლდება: სტივ კარი აშშ-ში სამკურნალოდ ჩასვლას გეგმავს და, სავარაუდოდ, 4 თვე ვერ გავა მოედანზე, გორან ბუნიევჩევიჩს და გარი დოჰერტის კი შედარებით მცირე, თუმც მაინც ხანგრძლივი ტრავმები აწუხებთ. თუ გავიხსენებთ, რომ სამივე ეს ფეხბურთელი მცველია, გასაკვირი აღარ იქნება თუ ჰოდლი დაცვის თავკაცობას ჭაბუკ ლედლი კინგს ანდობს. არის მეორე ვარიანტიც: ლონდონელთა მწვრთნელი თავისი ყოფილი გუნდიდან დინ რიჩარდსის გადაბირებას ცდილობს და თუ გარიგება დროზე შედგა, ეს გამოცდილი მცველი დღეს „ტოტენჰემში" ითამაშებს და არა „საუთჰემპტონში".

„ლივერპულს" კვლავ არ ეყოლება ბაბელი და ბერგერი. მიმომხილველები თვლიან, რომ შესაძლოა სასტარტოში უილიემ რობი ფაულერი დააბრუნოს, ვინაიდან ჰესკიმ და ოუენმა ბოლო ორ თამაშში „ასტონ ვილასთან" (1:3) და „დორტმუნდთან" (0:0) თავი ვერ ისახელეს.

ძირითადში თამაშის იმედი აქვთ ლივერპულის მეორე გუნდის „ევერტონის" ფეხბურთელებს — პოლ გესქოინსა და ტომაშ რაძინსკის. უოლტერ სმიტის გუნდმა ოპტიმისტურ სტარტს ბოლო ხანს წაგებები მიაყოლა და ზემოთ ნახსენებთა იმედი ალბათ ახდება კიდეც. „ევერტონი" დღეს გრემ სუნესის „ბლექბერნს" სტუმრობს.

კვირას სამი მატჩია და სამივე უაღრესად საინტერესო: ჯერაც დაუმარცხებელი „ჩელსი" დისკვალიფიცირებული ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გარეშე დაუხვდება ბოლო კვირის გმირ „მიდლსბროს", რომელმაც „ვესტ ჰემს" და „ლესტერს" მოუგო და ცხრილის ბოლოს თავი დააღწია; 5 მატჩში კინკილა გოლის გამშვები „ლიდსი" ალან სმიტთან და ლი ბოიერთან (ამათ დისკვალიფიკაცია დაუმთავრდათ) ერთად შეეცდება ქინქლაძის „დერბი ქაუნთის" დამარცხებას და გალიდერებას; ჩემპიონის დამჩოქებელი „ნიუკასლი" კი დედაქალაქში ჩავა და ბოლო ადგილზე მყოფ „ვესტ ჰემთან", რომელმაც ოთხი თამაშიდან სამი სტუმრად ითამაშა, უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას შეეცდება — ჯორდებს „აპტონ პარკზე" 20 მატჩია, არ მოუგიათ.

ტური, ტრადიციულად, ორშაბათ საღამოს დამთავრდება — „საუთჰემპტონს" თავის ახალ სტადიონ „სენტ მერიზე" ჯერ ვერ გაუმარჯვია, ამიტომ გუნდში ცვლილებებია: გერმანელი თავდამსხმელი უვე როსლერი, ვინც „საუთჰემპტონს" ერთი გოლითაც კი არ შეშველებია, თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვეს.



„მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგაში ტვინშერყეულ გარი ნევილს მოისაკლისებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

სოლომონ გელიაშვილი

## ედუარდი უფულოდაც მაგარია



„ბაიერნის" ლაზარეთს კარსტენ იანკერიც (მარჯვნივ) შეემატა

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| შტუტგარტი | - | ჰანზა |
| კოტბუსი | - | ბაიერნი |
| ფრაიბურგი | - | შალკე |
| დორტმუნდი | - | ლევერკუზენი |
| ჰამბურგი | - | ვერდერი |
| კიოლნი | - | ნიურნბერგი |
| ლაუტერნი | - | ჰერტა |
| **ზვალ** | | |
| მიუნხენი | - | ვოლფსბურგი |
| გლადბახი | - | ზანკტ პაული |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 6 | 6 | 0 | 0 | 16:6 | 18 |
| ლევერკუზენი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:6 | 14 |
| ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:3 | 12 |
| კოტბუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | 11 |
| შალკე | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| შტუტგარტი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 9 |
| გლადბახი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 7:7 | 8 |
| კიოლნი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| მიუნხენი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ჰამბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:10 | 5 |
| ფრაიბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ვერდერი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| ჰანზა | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | 5 |
| ნიურნბერგი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | 3 |
| ვოლფსბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:13 | 3 |
| ზანკტ პაული | 6 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |

**შუა კვირაში**, ევროსარბიელზე გერმანულმა კლუბებმა დიდად ვერაფრით გამოიჩინეს თავი. „ბაიერნმა" შინ პრაღის „სპარტას" ვერ მოუგო, „დორტმუნდიც" უმარილო მატჩში „ლივერპულს" დაუზავდა, „შალკემ" ზედიზედ მეორე თამაში წააგო, ამჯერად ლონდონში „არსენალთან" და თავისი ჯგუფის აუტსაიდერია. ერთადერთი, ვინც ქომაგები გაახარა ლევერკუზენის „ბაიერი" გახლდათ, რომელმაც ბებერი ულფ კირსტენის გოლით სტუმრად „ლიონი" დაამარცხა. თუ ამას ეროვნული გუნდის ბოლოდროინდელ ჩავარდნასაც დავუმატებთ, გასაკვირი აღარ იქნება, რომ იქაური მედია თაფლში გვარიან მწარე ნაღველსაც ურევს და თავისიანებს გარდასულ დღეთა დიდებას ახსენებს.

ახლა მთელი ყურადღება ბუნდესლიგის მეშვიდე ტურისკენაა მიპყრობილი, რომლის მთავარი თემა „დორტმუნდი" — „ლევერკუზენის" მატჩია. ჩემპიონატის დიდებულად დამწყებმა „ბორუსიამ" ზედიზედ ოთხ გამარჯვებას ორი უსახური მარცხი მიაყოლა, ჯერ „ბაიერნთან", მერე „შალკესთან" და თუ დღესაც ვერ მოიგო, მისი საჩემპიონო ამბიციის ბზარი უკვე შესამჩნევად დაალებს პირს.

ეს ამბავი, ცხადია, ყველაზე უკეთ მათიას ზამერს მოეხსენება, ამიტომ შეტევის გაძლიერებას აპირებს. ჩეხი იან კოლერისა და ბრაზილიელი ამოროზოს სიახლოვეს ტომაშ როსიცკიც ისაქმიანებს. ანუ, ჭაბუკი გამთამაშებელი ოდნავ წინ წაიწევს, ხოლო „დორტმუნდის" ტაქტიკური სქემა 4-3-3 იქნება. შესაძლოა, ძირითადში ვიხილოთ ლარს რიკენიც, ვინც ბოლო დროს ჩრდილში მოექცა და ლიგის ბოლო მატჩში „ლივერპულთან" მხოლოდ სამიოდ წუთი ითამაშა.

მეორე ადგილზე მდგარ „ლევერკუზენს" სავარაუდოდ სამი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დააკლდება. „ლიონთან" ლიგის შეხვედრაში დაშავდნენ იენს ნოვოტნი და ბრაზილიელი ლუსიო. კლუბის ექიმები თავისას ცდილობენ და ამათი ამბავი თამაშის დაწყების წინ გაირკვევა. ხოლო გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის. „ზანკტ პაულთან" წინა ტურში ის ორი გაფრთხილებისთვის გააძევეს.

„ბაიერნი" კოტბუსს ეწვევა და იქაურ „მეგობრობის" სტადიონზე კერკეტ „ენერგის" შეეჭიდება. ოტმარ ჰიცფელდს კიდევ ერთხელ მოუწევს ტაქტიკის ჯადოსნის სახელის დამტკიცება. სხვა რა გზა აქვს, ლამის ნახევარი გუნდი ხომ დაშავებული ჰყავს. ეფენბერგის, შოლის, იერემისისა და ლინკეს ტრავმები უკვე ძველი ამბავია. შუა კვირაში მათ კარსტენ იანკერიც დაემატა. ახმახმა თავდამსხმელმა მარჯვენა ფეხის კუნთი დაიზიანა და დაახლოებით ორ კვირას დაისვენებს. მიუხედავად ამისა, ჰიცფელდი მშვიდადაა. ჰერ ოტმარს მიაჩნია, რომ ეს დროებითი პრობლემაა და რამდენიმე კვირისთვის ახალი ფეხბურთელების შეძენა არ ღირს.

„კიკერის" ვარაუდით, ჰიცფელდი ზამერივით 4-3-3 სქემას აირჩევს და ჯოვანი ელბერს თავდასხმაში ალექსანდრ ციკლერსა და პარაგვაელ როკე სანტა კრუზს დაახმარს.

კოტბუსელთა მწვრთნელ ედუარდ გაიერს მიაჩნია, რომ ჩემპიონატის წარმატებით დაწყების მიუხედავად, მისი ფეხბურთელების უმრავლესობა თავის საუკეთესო თამაშს ჯერ ვერ აჩვენებს. ამიტომ ახლო მომავალში უკეთესობის იმედი აქვს.

სხვათა შორის ედუარდ გაიერი ფრიად საინტერესო კაცია. ის იგივეა „კოტბუსისთვის", რაც, ვთქვათ, ფინკე „ფრაიბურგისთვის", ან თავის დროზე რეჰაგელი „ვერდერისთვის".

გდრ-ის ნაკრების ბოლო მწვრთნელი კოტბუსში 1994 წლის ზაფხულში მივიდა და ექვს წელიწადში გუნდი ყველა იერარქიულ კიბეზე მშვიდობით ატარა. ჯერ იყო ობერლიგა, მერე რეგიონალლიგა, მეორე ბუნდესლიგა და აი, შარშან, ისტორიაში პირველად ბუნდესლიგაშიც ამოჩნდნენ. სეზონის ბოლოს დაკავებული მე-14 ადგილიც დებიუტანტისთვის ნორმალური შედეგი იყო. წლეულს კი, ჩანს მაღა გაეხსნათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მეხუთე ადგილზე არიან. საინტერესოა ისიც, რომ 57 წლის გაიერის „კოტბუსი" ბუნდესლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მცირებიუჯეტიანი კლუბია და ბევრ რამეს დაულალავი და სწორი მუშაობის ხარჯზე აღწევს.

და კიდევ ერთი ფაქტი. ზუსტად 49 კვირის წინ „კოტბუსმა" ბუნდესლიგის მატჩში პირველად უმასპინძლა „ბაიერნს" და 1:0 მოუგო...

ექვსივე მატჩის მომგები და ცხადია, ერთპიროვნული ლიდერი „კაიზერსლაუტერნი" თავის „ფრიც ვალტერ შტადიონზე" ბერლინის „ჰერტას" დაუხვდება. მასპინძლებს ძირითადის ოთხი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული: ჩეხი პეტრ გაბრიელი, ბულგარელი მარიან ხრისტოვი, შვედი იორგენ პეტერსონი და ვეტერანი ჰარი კოხი. საეჭვო იყო კუჭაშლილი მარიო ბასლერის თამაშიც, მაგრამ „სუპერმარიო" ინფექციას მორევია.

საამმატჩო განაცხადში ანდრეას ბრემემ იური ჯორკაეფიც შეიყვანა. მოგეხსენებათ, ფრანგს მწვრთნელთან არცთუ ტკბილი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა: „ამ კვირის ვარჯიშებზე ჯორკაეფი ძალიან მომეწონა, ბოლოს და ბოლოს მან ის თვისებები გამოავლინა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს რომ ეკადრება" — თქვა ბრემემ. სავარაუდოდ, ჯორკაეფი შეცვლაზე ითამაშებს.

„ჰერტას" დამრიგებლის, იურგენ რიობერის პრობლემა კი ბრაზილიელი შემტევის, ალექს ალვეშის დისკვალიფიკაციაა, ალვეშმა წინა ტურში „მიუნხენთან" ერთი გემრიელად წაიჩხუბა, რისთვისაც მინდვრიდანაც მიაბრძანეს და სამმატჩიანი სასჯელიც დაუდგინეს.

# ესპანეთი

გიორგი [illegible]

| IV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეალი | - | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | - | სოსიედადი |
| ბარსელონა | - | ტენერიფე |
| ალავესი | - | დეპორტივო |
| **ზვალ** | | |
| ვალიადოლიდი | - | ბეტისი |
| ლას პალმასი | - | მალაგა |
| ბილბაო | - | ვალენსია |
| სარაგოსა | - | ოსასუნა |
| სევილია | - | რაიო ვალეკანო |
| სელტა | - | მალიორკა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტა | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ალავესი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ვალენსია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ბეტისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ვილიარეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| სევილია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| მალაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მალიორკა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ვალიადოლიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| ლას პალმასი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| ესპანიოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| ტენერიფე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| რაიო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| რეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| სოსიედადი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| ოსასუნა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:6 | 1 |



ხავიერ სავიოლა

## ხალხს ნუ ალაპარაკებ, კარლოს!

## რექსაჩს სავიოლასთვის 90 წუთი ეძვირება

**კარლოს რექსაჩისა** და ვისენტე დელ ბოსკეს თავს საინტერესო ამბები ხდება. „ბარსელონას" და „რეალის" მადის ამბავი რომ ვიცით, პრიმერადივიზიონში ბარსელონელთა არცთუ სახარბიელო, ხოლო მადრიდელთა სულაც კატასტროფული სტარტის შემდეგ, წესით, მწვრთნელთა გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო, თუმც ჯერჯერობით ასე არ ხდება და მათი მოხსნის შესახებ ვარაუდი ოდენ ზოგიერთ გაზეთში თუ გაიჟღერებს. რექსაჩს და დელ ბოსკეს ნდობის ლიმიტი ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალე შედეგებმა შეუვსო — უიღბლო დინო ძოფისგან განსხვავებით, რომელიც სერია A-შიც შერცხვა, ლიგაშიც და გუშინწინ მოხსნეს.

დივიზიონში ცუდ შედეგიანობაზე მეტად კარლოს რექსაჩს ხავიერ სავიოლას უთამაშებლობისთვის აკრიტიკებენ. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელს არგენტინელი ვარსკვლავი, აქ სიტყვა ამომავალი შეგვიძლია არ ვიხმაროთ, შეცვლებზე შეჰყავს და ამბობს, სრული მატჩის სათამაშოდ ჯერ მზად არ არისო.

როგორ არ არის — პასუხობენ ოპონენტები — აგერ, გავიდა თუ არა, „ფენერბაჰჩეს" გოლიც გაუტანაო მაგრამ რექსაჩზე ეს არგუმენტი არ მოქმედებს და დღეს სავიოლა კვლავ სათადარიგოდ ეყოლება, თუმც დამკვიდრებული წესის თანახმად, მოგვიანებით თამაშის საშუალებას, ალბათ, მისცემს.

„ბარსას" უპირველეს თავსატეხად კვლავაც რჩება ურივალდოობა, მაგრამ ბრაზილიელის მკურნალობის საქმე წინ დიდი ნაბიჯებით მიიწევს და კატალონიელებმა უმისოდ სულ ორი-სამი თამაშიღა უნდა გაძლონ.

ერთი საინტერესო ფაქტიც, კატალონიაში მიიჩნევენ, რომ ზაფხულის ყველაზე სასარგებლო შენაძენი არა სავიოლა, არამედ პატრიკ ანდერსონია, ამიტომაც რექსაჩს ის მუდამ სასტარტო შემადგენლობაში ჰყავს და ოპონენტებს სალაპარაკოს არ აძლევს.

მოკლედ, „ბარსელონა" დღეს პირველ საშინაო გამარჯვებას უმიზნებს, ხოლო „ტენერიფე", რომელმაც წინა უქმეებზე მოიპოვა პირველი სამი ქულა, ხაიმესა და ივან ამაიას იმედად არის.

აუტსაიდერთა დაპირისპირებიდან გამორჩეულია მე-18 და მე-15 ადგილებზე მყოფთა მატჩი. მიზეზი გასაგებია — მე-18 საფეხურზე „რეალია". მადრიდელებს იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ, რომ მორიენტესის ტრავმა სათვალავში ჩასაგდები არც არის. აი, „ესპანიოლს" საეჭვოა, ტრავმირებულების — რაულ ტამუდოს და ხუან ფრანსისკო პალენსიას შემცვლელები ჰყავდეს.

ოთხეულის გუნდთაგან ერთმანეთს „ალავესი" და „დეპორტივო" ხვდებიან. ბასკები ჯერ დაუმარცხებელნი არიან და საფიქრებელია, რომ არც ახლა წააგებენ. მართალია, „დეპორტივო" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, მაგრამ ვიქტორი, ფრანი და ჯალმინია არ ეყოლება, რაც საკმაოდ დიდი დანაკლისია.

„ვილიარეალს" რა უჭირს, სამი თამაშიდან ორი მოიგო, მისმა მეტოქე „სოსიედადმა" იკითხოს, რომელიც ქულის ამარაა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ეს ერთი ქულა სანსებასტიანელებმა ლიდერ „სელტას" გამოჰგლიჯეს. ჯონ ტოშაკს არ ეყოლება ტრავმირებული თურქი ტაიფუნი. ეს, ცხადია, ცუდი ამბავია, თუმცა მისი არყოფნა გიორგი დემეტრაძის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენის ალბათობას ერთიორად ზრდის.

მესამეადგილოსანი „ვალენსია" ბილბაოში ჩადის და აქ უპრიანია სტატისტიკას მივმართოთ. ბილბაოელებმა წინა ტურში „დეპორტივო" მისსავე „რიასორზე" დაამარცხეს, რასაც მთელი 37 წელი ვერ ახერხებდნენ. ამასთანავე, ეს გამარჯვება „ატლეტიკისთვის" ზედიზედ მეორე საგარეო იყო, რაც ამ გუნდს ბოლო სამი სეზონი ვერ მოუხერხებია. „ვალენსიას" თავის მხრივ ოთხი წელია, „სან მამესიდან" სამი ქულა არ წაუღია.

უეფას თასის მატჩი დანიურ „სილკებორგთან" სარაგოსელი ტორო აკუნიასთვის საბედისწერო გამოდგა, თამაშის დასაწყისშივე დაშავდა და სულ მცირე, ერთი თვე ვერ ითამაშებს. მაგრამ სარაგოსელ ფანებს, შესაძლო წარუმატებლობის მიზეზად აკუნიას ტრავმას ვერც უხსენებთ, რაკი თვლიან, რომ „ოსასუნა" ნებისმიერი შემადგენლობით უნდა დაამარცხო. არც გაემტყუნებათ — პამპლონური გუნდი გათამაშების ცხრილის ფსკერზეა და ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანია.

დივიზიონის ახალწვეული უძახე და „რეალ ბეტისი" მეხუთე ადგილზეა, თან წინა ტურში მადრიდის „რეალი" დაამარცხა. ბომბარდირიც ამ გუნდიდანაა — არგენტინელმა გასტონ კასასმა სამ მატჩში ოთხი ბურთი გაიტანა. ბრწყინვალე ფორმაში არიან დენილსონი და ხოაკინ სანჩესიც. „ბეტისი" „ვალიადოლიდს" სტუმრობს, რომლის უმთავრესი იმედიც „რეალიდან" გადაყვანილი ტოტე გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სენსაციური ლაბაძე შანხაის სამი წრის მერე ტოვებს

## აგასის მძლეველი ქართველი დანიელმა შეაჩერა



ირაკლი ლაბაძეს იმედი გაუცრუვდა

**შანხაი (ჩინეთი)**
**ჰაინეკენის თასი**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

მსოფლიოს მეორე ჩოგანი ანდრე აგასის წამქცევი ირაკლი ლაბაძისთვის შანხაის ტურნირი მეოთხედფინალში გასრულდა. 20 წლის თბილისელმა პირველ წრეში გაგდებულ აგასის მეორე წრეში ასევე ამერიკელი ჯასტინ გიმელსტობი მიაყოლა, შემდეგ კი მეოთხედფინალში დანიელ კენეტ კარლსენს შეერკინა და პირველი სეტი მოუგო კიდეც, მაგრამ...

„ქართველ ლაბაძეს აკლდა ის შემართება, რამაც ანდრე აგასი დაამარცხებინა. პირველი სეტის მოგების შემდეგ ლაბაძემ ოთხჯერ დათმო საკუთარი მოწოდება, რაშიც ასე ძლიერია. იგი იშვიათად გადიოდა ბადესთან და დანიელ კარლსენთან უკანა ხაზიდან თამაშს და ხანგრძლივ გათამაშებას არჩევდა" — წერს სააგენტო „როიტერი".

არადა, ჩვენებურს რომ ემარჯვა, კარიერაში პირველად გავიდოდა ნახევარფინალში და ამასთან იქ მოხვედრილთა შორის ერთადერთი განუთესავი იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ლაბაძემ დათმო შეხვედრა ჩემპიონთა რბოლის მიხედვით 130-ე ჩოგან კენეტ კარლსენთან.

ახლა კარლსენი თავადაა ჰაინეკენის თასის ერთადერთი განუთესავი ნახევარფინალისტი და დღეს მესამე ნომრად განთესილ შვეიცარიელ მიხაელ კრატოხვილთან მოუწევს საქმის გარჩევა. „მოხარული ვარ, რომ აქამდე მოვედი — თქვა ნამატჩევს კარლსენმა — თქვენ ნახეთ, მძიმე ბრძოლა მქონდა და შესაძლებელი იყო, ამ მატჩით დამესრულებინა ტურნირი".

ტურნირის მეორე ნახევარფინალში ერთმანეთის წინაშე გერმანელი რაინერ შუტლერი და ესპანელი ფრანსისკო კლავეტი წარდგებიან.

დასანანი მარცხი იწვნია ირაკლი ლაბაძემ. საჩოგბურთო მიმომხილველები და ჩინელი გულშემატკივრები დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ მასსა და კარლსენს შორის და ასეც მოხდა, გამარჯვებულის გასარკვევად მესამე სეტის გამართვა გახდა საჭირო. „ეს იქნება ორი მძლავრი მომწოდებლის ჯახი" — წერდა მატჩამდე „როიტერი". ლაბაძე მართლაც ყოჩაღად ირჯებოდა და ორჯერ აართვა მოწოდება დანიელ მეტოქეს, თუმც მერე მარცხენამ დაალალატა. მეორე სეტი ბევრით ჰგავდა პირველს, მხოლოდ უწინ თუ ლაბაძე დომინირებდა, ამჯერად დანიელი ყოჩაღობდა. მეორე ხელში დანიელმა თავად მოუგო მოწოდება ქართველს და 6:3 იმარჯვა. გადამწყვეტ, მესამე სეტშიც დანიელი უფრო მარჯვობდა, ლაბაძემ კი შეცდომებს უხშირა. 3:5 ანგარიშზე, საკუთარ მოწოდებაზე, ქართველმა წყვილი ორმაგი შეცდომა დაუშვა, შემდეგ ტურნირი დასანანი მარცხით დაასრულა. ამის მიუხედავად, ლაბაძე ჩინეთში საკუთარი თამაშით დიდად უკმაყოფილო არ უნდა დარჩეს. სხვა თუ არაფერი, მარტო ანდრე აგასის დაჩოქება რად ღირს. ამ კვირის დასაწყისში ჩემპიონთა რბოლაში 166-ე ადგილზე მყოფმა ლაბაძემ ჰაინეკენის თასის მეოთხედფინალში გასვლით რვა სარეიტინგო ქულა შეიმატა და ახლა გვარიანად წინ წაიწევს. ძველი სისტემის კლასიფიკაციაში იგი ასეულის ზღურბლზე, 101-ე ადგილზე იყო, შანხაის ტურნირმა კი ქართველს ფართოდ გაუღო ასეულის კარი.

ნახევარფინალისკენ გზის გასაკაფავად გვარიანი ოფლი ღვარა კარლსენის მეტოქემ, მიხაელ კრატოხვილმაც. შვეიცარიელმა პირველი სეტი ტაიბრეიკზე დაუთმო ჰოლანდიელ ედვინ კემპესს, თუმცა მეორე ხელი ტაიბრეიკზე მოიგო და ჩარხიც შემოაბრუნა.

**მეოთხედფინალი. კენეტ კარლსენი (დანია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 3:6, 6:3, 6:3; რაინერ შუტლერი (2, გერმანია) — ნომ ბეჰრი (ისრაელი) 7:5, 6:2; მიხაელ კრატოხვილი (3, შვეიცარია) — ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 6:7 (4:7), 7:6 (7:1), 6:1; ფრანსისკო კლავეტი (4, ესპანეთი) — ტაკაჰირო ტერაჩი (იაპონია) 3:6, 6:1, 6:1**

**ტოკიო (იაპონია)**
**TOYOTA PRINCESS CUP**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

ამერიკიდან ოთხი იქაური ლიდერი მეჩოგნის მიერ შემოთვლილი უარის შემდეგ ტოიოტას თასს ერთადერთი ამერიკელი მეილინ ტუ შერჩა. ამ ხუთშაბათს მანაც აიკრა გუდა-ნაბადი და ამომავალი მზის ქვეყანას გაეცალა. მეოთხედფინალში ტუ გაიუგოსლავიელებულ ავსტრალიელს (თუ პირიქით) ელენა დოკიჩს ხვდებოდა და ამ 18 წლის გოგონას თმის ღერიც ვერ შეურხია თავზე. დოკიჩი წლის ბოლოსთვის ქალ მეჩოგნეთა პირველ ათეულს უმიზნებს და ამ ტურნირის მოგებასაც ეშურება. აბა, ვილაც მეილინ ტუ როგორ გააჩერებდა ატეხილ ელენას? ვერც გააჩერა — 2:6, 2:6 წააგო და ამერიკელთათვის ტოკიოს ტურნირს აზრი დაუკარგა.

ზემოთ სხვა ამერიკელები ვახსენეთ. იაპონელი მაყურებლის თვალს ნამდვილად გაახარებდნენ სერენა უილიამსი, ჯენიფერ კაპრიატი და მონიკა სელეში, თუმც ამერიკელებს ვინ ჩივის, როცა იაპონელებს ტურნირზე აღარც ერთი თანამემამულე აღარ შემორჩათ. გუშინ მეოთხედფინალურ შერკინებაში დაეცა იმპერატორ აკიჰიტოს ბოლო ქვეშევრდომი აი სუგიამა, მისმა მძლეველმა ესპანელმა გალა ლეონ გარსიამ კი ხალხის წყევლა-კრულვა დაიმსახურა. იაპონელებს ორი მიზეზი აქვთ, სძულდეთ პირინეელი გოგონა — იგი განუთესავი იყო, ამდენად სუსტი და ვერ უნდა მოეგო სუგიამასთვის და გარდა ამისა, გარსიამ სუგიამამდე მიჰო საეკიც გაამწარა მისსავე ქვეყანაში. ახლა იაპონელები ერთზე ოცნებობენ — ჩვენებმა თუ ვერაფერი მოუხერხეს გარსიას, იქნებ მისივე თანამემამულემ, არანჩა სანჩეს-ვიკარიომ დაუდოს კვანტიო.





ელენა დოკიჩი ტიტულისკენ მიიწევს

29 წლის არანჩამ მორიგი, ამჯერად განთესილი მეტოქე, ფრანგი სანდრინ ტესტიუ მოინელა და ნახევარფინალსაც უწია. იქ იგი იაპონელთა რისხვა ლეონ გარსიას დაუპირისპირდება.

მეორე ნახევარფინალური წყვილი 18 წლის სუპერგოგოებისგან შედგება. მესამე ნომრად განთესილი ელენა დოკიჩი პირველ ნომრად განთესილ, საერთოდ კი ქალებში მსოფლიოს მეხუთე ჩოგან კიმ კლაისტერსს წარუდგება. წლევანდელი როლან გაროსის ფინალისტ ბელგიელ კლაისტერსს ტაილანდელი ტამარინე ტანასუგარინის ტურნირიდან გასაგდებად სულ 50 წუთი ეყო და ნახევარფინალშიც სულ რიხინ-რიხინით გავიდა.

**მეოთხედფინალი. კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:1; ელენა დოკიჩი (3, იუგოსლავია) — მეილინ ტუ (აშშ) 6:2, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (4, საფრანგეთი) 6:3, 1:6, 7:6 (7:5); გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:4, 6:3**

**კვებეკი (კანადა)**
**ბელ ჩელენჯი**
**ჰარდი. საპრიზო 170 ათასი $**

**მეორე წრე. მარტინა სუხა (სლოვაკეთი) — სილვია ფარინა ელია (2, იტალია) 3:6, 6:4, 7:6 (10:8); მეგან შონესი (1, აშშ) — გრეტა არნი (გერმანია) 6:1, 6:3; ანე კრემერი (3, ლუქსემბურგი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:4, 6:2; ივა მაიოლი (4, ხორვატია) — ალენა ვასკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:2; ჯენიფერ ჰოპკინსი (5, აშშ) — ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) 6:3, 6:2; სამანტა რივზი (აშშ) — ნატალი დეში (6, საფრანგეთი) 0:6, 6:1, 6:2; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — ლილია ოსტერლო (7, აშშ) 6:4, 6:1; იანა ნეიედლი (8, კანადა) — მარია ვენტო-კაბჩი (ვენესუელა) 6:2, 6:1**

**ირაკლი ფირაშვილი**





აი სუგიამამ იაპონელთაგან ბოლომ დატოვა ტოკიოს ტურნირი


**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**

**განათლების სამინისტროს**
**კომპიუტერული ცენტრი „მზიური"**
**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას**
**პერსონალური კომპიუტერის**
**შემსწავლელ ჯგუფებში**

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17

# ადამიანი VS კომპიუტერი გადაიდო...





„დიპ ფრიცი“ და ვლადიმირ კრამნიკი წელს აღარ იბრძოლებენ

**ბაჰრეინში** ოქტომბერში აღარ შედგება ისტორიულად მონათლული მატჩი მსოფლიოს ჩემპიონთაგან ვლადიმირ კრამნიკსა და მოჭადრაკე პროგრამა „დიპ ფრიცს“ შორის. ორგანიზატორმა, კომპანია „ბრაინგეიმზ ნეტუორკმა“ ოფიციალური პრესრელიზი გამოაქვეყნა, რომელშიც მატჩის გადადების მიზეზად ამერიკის ტრაგედია ცხადდება.

„მატჩი გადაიდება იმ ბევრი შეჯიბრის მსგავსად, რომელიც ახლო აღმოსავლეთში უნდა შემდგარიყო — ამბობს პრესრელიზში „ბრაინგეიმზ ნეტუორკის“ თავმჯდომარე, სერ ჯერემი ჰენლი — სხვებთან ერთად ჩვენც უადგილოდ გვგონია მატჩის გამართვა, როცა ირგვლივ საყოველთაო დაძაბულობა სუფევს“.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს მატჩის ბაჰრეინული ორგკომიტეტის პრეზიდენტი, რომლის სახელის სრულად დაწერისთვის კალმის დაძაბვა მოგვიწევს. „ეს არის ერთდროულად გულის და გონების კარნახით მიღებული გადაწყვეტილება — განაცხადა შეიხ მოჰამედ ბინ ესა ალ ხალიფამ — ეს არის ნიშანი პატივისცემისა იმ ოჯახების მიმართ, რომელთაც ტრაგედიისას ახლობლები დაკარგეს. მაგრამ იცოდეთ, მატჩი შედგება და მის ზუსტ თარიღს ჩვენ ორ კვირაში გამოვაცხადებთ. ამ დროის შემდეგ ჩვენი ვებგვერდი იხილეთ...“

ფიქრადაც არ გვაქვს პატივცემულ გვამებთან შედავება, მაგრამ მატჩი ხომ ოქტომბერში უნდა შემდგარიყო და იქამდე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო, ქართველები იტყვიან. ტყუპი კოშკის აფეთქებიდან რამდენიმე დღეში უამრავი სპორტული ამბავი გაგრძელდა და შორეულ ბაჰრეინში რაღა ერთი თვე უნდა ეგლოვათ? მატჩის გადატანის ალტერნატიული მიზეზები ბუნებრივად წამოიჭრება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ლაპარაკია არა მატჩის ტერიტორიულ, არამედ დროში გადატანაზე 2002 წლის დასაწყისისთვის. ძლიერ საეჭვოა ხუთი ათეული წლის მანძილზე მობობოქრე ახლო აღმოსავლეთი ხუთ თვეში დაწყნარდეს, ამიტომ საფიქრებელია, რომ „ბრაიანგეიმზი“ და არაბი ორგანიზატორები ჭადრაკისთვის ქრონიკულად ქცეულმა ფინანსურმა პრობლემებმა შეაწუხა და ამერიკის ტრაგედიამ მათ „სულზე მიუსწრო“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბაჰრეინი ამერიკის დიდი პატივისმცემელია და იანკები სწორედ მას და ქუვეითს მოიაზრებენ ბაზებად ტერორისტებზე შეტევისთვის. ახლა ბაჰრეინში დიდი მოძრაობაა და იმ ციცქნა ქვეყნის მიწა ამერიკის ჯარისკაცებს ვერ იტევს. ჭადრაკისთვის ალბათ არავის სცხელა...

**დავით გულუა**

ევროპა-აზიის მატჩი

EUROPE-ASIA

# ევროპამ სული მოითქვა

## ჩინელ ქალებს ნურავინ გაეტოლება

**ხანგრძლივი** კონცერტით ბათუმში ევროპა-აზიის მატჩი დაიხურა. იქამდე იყო ბრძოლის მესამე დღე, რომელმაც ცხადყო, რომ ევროპა მაინც რჩება ყველაზე საჭადრაკო კონტინენტად და აზიას ჩინეთის მეთაურობით ჯერ კიდევ ვარჯიში მართებს. იგულისხმება ვაჟთა ჭადრაკი, თორემ ქალებში ჩინელები არამცთუ ჩამორჩებიან, სჯობნიან კიდეც ევროპელებს. ბათუმში კი აზიის ნაკრები, კიდევ გავიმეორებთ, ფაქტობრივად ჩინეთის ნაკრები იყო, ისევე როგორც ევროპის ნაკრებს უფრო საქართველოსი დაერქმეოდა (4 მოჭადრაკიდან 3 ქართველი გახლდათ) და ჩვენები ორი დღის შემდეგ კატასტროფულად, 5,5:18,5 აგებდნენ, მაგრამ დასკვნით ტურში ხელი გამოიღეს და 5:3 გაიმარჯვეს, რითაც მეტოქეზე არა სამჯერ, არამედ ორჯერ ნაკლები ოდენობის ქულებით დაამთავრეს მატჩი. ეს, ცხადია, შეღავათი არ არის, მაგრამ ევროპელი ქალების გამარჯვებამ მთლიანად მატჩის ევროპელთაგან მოგების პერსპექტივაც გამოკვეთა. შეგახსენებთ, ორი დღის შემდეგ აზია 3 ქულით წინ იყო საერთო ჩათვლაში, რომელთაგან ევროპის ქალებმა 2 ქულა გააბათილეს და ვაჟებს 24 პარტიაში მხოლოდ 1-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა უწევდათ.

ამოცანა უაღრესი გადაჭარბებით შესრულდა. ჯაჭვით ვერ აკავებდნენ გარი კასპაროვს, რომელმაც ჯერ ორიდან ქულანახევარი წაართვა ჩინელ იე ძიანჩუანს (მსოფლიოს ჩემპიონ სიე ძუნის მწვრთნელია და ჩინეთის პირველი ვაჟი მოჭადრაკე), მერე კი ორჯერვე მოუგო აზიელთა პირველ ნომერს, უზბეკ რუსტამ კაზიმჯანოვს. სხვებიც ფორმაში იყვნენ და 18,5:5,5 დაფიქსირდა, რამაც ევროპის საბოლოო გამარჯვება განაპირობა ანგარიშით — 58:46.

საუკეთესო პირადი შედეგი, ცხადია, კასპაროვს ჰქონდა, რომელმაც 12 პარტია ითამაშა და 10 მოიგო 2 ყაიმთან ერთად. კლასი კლასია...

**დავით გულუა**

**იყიდება**

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე—5 სართული

**ტელ: 75 99 49**





# შენგელია ხმელთაშუა ზღვის გარშემო

## სირიელებს ქართველი მოსწონებიათ



*მრავალი ქვეყნის ჩემპიონატგამოვლილ საქართველოს ნაკრების ცენტრ კახა შენგელიას ალბათ კიდევ ერთის დაჭაშნიკება მოუწევს. ცოტა არ გვეგულება მკითხველი, რომელიც ამ ქვეყნის გაგონებისას გულში გაივლებს, ნუთუ იქაც თამაშობენ კალათბურთსო. ჩვენ კი ასეთების გასაგონად წინასწარ ვიტყვით, თამაშობენ კი არა, ამ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს ის ტურნირი აქვს მოგებული, სადაც იუგოსლავიის კლუბებს უთამაშიათ. არსებობს ასეთი — ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ევროპულზე მეტად არაბული კლუბები ასპარეზობენ და რომელიც სირიულმა „ალ ვაჰდემ“ ორი წლის წინ მოიგო. სწორედ ამ კლუბში იმყოფება ამჟამად ქართველი ცენტრი გასინჯვაზე, თუმც ჯობს, სირიულ ამბებზე თვით კახა შენგელიას მოვუსმინოთ, რომელსაც გუშინ დამასკოში დავუკავშირდით.*

**— ამაზე იტყვიან, საიდან სადაო. როგორ მოხვდით სირიაში?**

— ჩემს ძველ მწვრთნელს „დინამოში“, ვაჟა მხეიძეს, რომელსაც არაერთი წელი უმუშავია სირიაში, ერთი აქაური კლუბი დაკავშირებია. მას ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე აინტერესებდა. ვაჟა მხეიძემ მე შემომთავაზა ეს ვარიანტი. ამ დროს ჩემი ძველი გუნდი რუსთავის „აზოტი“ დუმდა და მე მოლაპარაკებებს „სტუ-ჯეოსელთან“ ვაწარმოებდი. გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი და გამეგო, როგორი გუნდი იყო და რას მთავაზობდა.

**— მერე რას იტყვით?**

— მართალი გითხრათ, როცა აქ მოვდიოდი, ვფიქრობდი, სადმე სასაცილო გუნდში არ აღმოვჩენილიყავი, მაგრამ ჩემდა მოულოდნელად და გასახარად, საკმაოდ ძლიერი კლუბი ჩანს.

**— რა გუნდია?**

— „ალ ვაჰდე“ ჰქვია. წინა სეზონში სირიის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. ჰყავს ერთი ამერიკელი მოთამაშე. მეტად შეკრული კლუბი ჩანს.

**— გუნდის თამაში ნახეთ?**

— დიახ. მართალია, სეზონი დამთავრდა, უფრო სწორად, პრიზიორები გაირკვა, მაგრამ ორი მატჩი იყო გამოტოვებული და ისიც „ალ ვაჰდეს“ დარჩენოდა. ორივეს დავესწარი და გუნდის თამაშით ნასიამოვნები დავრჩი.

**— ივარჯიშეთ?**

— დამასკოში 16 სექტემბერს ჩამოვედი. შემდეგ ის ორი მატჩი ჩატარდა და გუნდთან მხოლოდ ერთხელ ვივარჯიშე. დანარჩენ დროს მარტო ვვარჯიშობ და კლუბის ხელმძღვანელებიც გამუდმებით მაკვირდებიან

**— რას გეუბნებიან?**

— ძალიან მოვეწონეთ. ჩემი თამაშის ხარისხზე აღარ არის საუბარი. შესათანხმებელი მხოლოდ ხელფასია და ამაზე ჩემი წარმომადგენელი აწარმოებს მოლაპარაკებას.

**— როდის გადაწყდება ყველაფერი?**

— 3-4 დღეში კონტრაქტს გავაფორმებ. ეს უკვე გადაწყვეტილია, რადგან რა თანხაც არ უნდა შემომთავაზონ, ის გაცილებით მეტი იქნება იმაზე რასაც ქართული კლუბები იძლევიან.

**— რა ვადით კონტრაქტს გააფორმებთ?**

— როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ მითხრა, გუნდს მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებისთვის ვჭირდები, ეროვნულ ჩემპიონატში უჩემოდაც გავლენ ფონს. საერთაშორისო ასპარეზობებისთვის კი ექვსი ან ცხრათვიანი კონტრაქტი საკმარისი იქნება.

**— რა ტურნირებია?**

— ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების საკლუბო ჩემპიონატი და არაბულ სახელმწიფოთა თასი. სწორედ ამ ტურნირების მოგება ამოუჭრია გულში კლუბის ხელმძღვანელობას. მათ ქვეყნის გარეთ სურთ წარმატებების მიღწევა. პირველი ტურნირი ერთ კვირაში იწყება. მასში იუგოსლავიის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, ეგვიპტის, ალჟირის, ლიბანის და სხვა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კლუბები ასპარეზობენ. პირველი მატჩი „ალ ვაჰდეს“ ლიბანში აქვს და დიდი შანსია, იქ მეც გავემგზავრო.

**— მათ ცენტრზე რას იტყვით?**

— კარგი მოთამაშე იქნებოდა ახალგაზრდობაში. ახლაც არა უშავს, თუმც საკმაოდ ხნიერია.

**— სირიაში გიჯობთ თამაში თუ საქართველოში?**

— რა თქმა უნდა სამშობლოში. ახალგაზრდა რომ ვიყო, აქ არც წამოვიდოდი. ფინანსურად აქაურ კლუბებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ქართულში და ამიტომაც გადავწყვიტე ამ ნაბიჯის გადადგმა.

**— ალბათ, არც მოხდება, მაგრამ საქართველოში რომ მოგიწიოთ დაბრუნება, რომელ კლუბში გიხილავთ?**

— „ალ ვაჰდესთან“ კონტრაქტი რომ არ გავაფორმო, სასწაული უნდა მოხდეს, მაგრამ თუ მაინც რამემ ხელი შემიშალა, გეტყვით, რომ „აზოტში“ არ ვითამაშებ. ყველაზე რეალური და მისაღები „სტუ-ჯეოსელის“ წინადადება იყო. სირიული ვარიანტი რომ არ გამომჩენოდა, თითქმის გადაწყვეტილი იყო ჩემი იქ დარჩენა.

**ირაკლი ბერტაია**



**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,

170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,

150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

**ტელ: 78 28 77**

**ექიმი კარდიოლოგი**

**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).

I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ბაიერნი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 003 | ფრაიბურგი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| | | **23 სექტემბერი.** | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-ზტ. პაული | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | მაინცი-ალენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ბოხუმი-ბაბელსბერგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **23 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 015 | ალემანია-ვალდჰოფი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 016 | უნიონი-შვაინფურტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ზაარბრიუკენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | **24 სექტემბერი** | | | |
| 23.15 | 018 | დუისბურგი-აინტრახტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). IX ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 021 | ბრაუნშვაიგი-დრეზდენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 022 | ბრაუნშვაიგი-დრეზდენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 17.00 | 023 | აუე-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 024 | კილი-ფორტუნა | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 17.00 | 025 | ლევერკუზენი (მ.)-ლიუბეკი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 17.00 | 026 | ესენი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 027 | ფერლი-მაგდებურგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.00 | 028 | ვატენშაიდი-ვერდერი (მ.) | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). IX ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 031 | ფულდა-ერფურტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 032 | ანსბახი-ვეჰენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.00 | 033 | ოფენბახი-კიკერსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 034 | ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 035 | აალენი-დარმშტადი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 18.00 | 036 | მანჰაიმი-ბაიერნი (მ.) | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **23 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 037 | შტუტგარტი(მ.)-ლაუტერნი(მ.) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 038 | ზიგენი-რეგენსბურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 041 | არსენალი-ბოლტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 042 | არსენალი-ბოლტონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 043 | ბლექბერნი-ევერტონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 044 | ლესტერი-ფულემი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 045 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 046 | ლივერპული-ტოტენჰემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 047 | მანჩესტერი-იფსვიჩი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 048 | მანჩესტერი-იფსვიჩი 0:1 | 1,85 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 049 | სანდერლენდი-ჩარლტონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | **23 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 050 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 051 | ჩელსი-მიდლსბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 052 | ლიდსი-დერბი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 053 | ლიდსი-დერბი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 20.00 | 054 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **24 სექტემბერი** | | | |
| 24.00 | 055 | საუთჰემპტონი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ინგლისი. I დივიზიონი. IX ტური. 22 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 068 | ქოვენთრი-პორტსმუთი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 069 | ქრიუ-უოტფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 070 | კრისტალ პალასი-ბარნსლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 071 | ჯილინგემი-როტერჰემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 072 | მილუოლი-შეფილდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 073 | ნორვიჩი-ბარნლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 074 | უენსდი-სიტი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 19.00 | 075 | სტოკპორტი-გრიმსბი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
